მიხო მოსულიშვილი

საშობაო ბატი კომშით

(კომიკური თრილერი ერთ მოქმედებად და თერთმეტ სცენად)

მოქმედებენ:

1. ელენა ქვინსი - ცოლი ოცდაათ წლამდე, მარკეტინგის მენეჯერი რომელიღაც კონსორციუმში.
2. მაიკლ დანსერი - ქმარი ოცდათორმეტ წლამდე, წამყვანი დიზაინერი იმავე კონსორციუმში, საერთოდ კი, მხატვარი.
3. კარლი - ელენას მამამთილი სამოცდასამ წლამდე, მაიკლის მამა.
4. როზალია - ელენას დედამთილი სამოც წლამდე, მაიკლის დედა..
5. გებრიელ ბონიფაციუსი - სტუმარი გაურკვეველი ასაკით, სწორედ იმ რომელიღაც კონსორციუმის მფლობელი.
6. ცხენი ტელევიზორიდან - სამი წლის.

მოქმედების დრო: ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი.
მოქმედების ადგილი: ევროპის რომელიღაც ქვეყნის დედაქალაქი.

დეკორაცია:
ქალაქის იმ უბანში, სადაც ეგრეთ წოდებული "საშუალო ფენა" სახლობს, არის ერთი პატარა, მაგრამ თანამედროვე დიზანში გადაწყვეტილი, ერთოთახიანი ბინა; მინის ტიხრით გამოყოფილი მიმდებარე სამზარეულოთი და საშხაპეთი. ბინა საკმაოდ დიდია, იტევს ტახტს და სავარძელებს, დიდ მაგიდას, ავანგარდული სტილის საათს, ფართოეკრანიან პლაზმურ ტელევიზორს... სამზარეულოს შესასვლელთან არის ისეთი ვიწრო სვეტი, რომ ხელი მოეკიდება და ძალიან ბრჭყვიალებს... ერთ კუთხეში, სადაც ნახატები ჰკიდია, დგას მოლბერტი სამუშაო მდგომარეობაში.

პირველი სცენა

(მაიკლი და ელენა ჩაცუცქულები არიან და დიდხანს უყურებენ მაყურებელს, მერე ორივე გაიცინებენ).

მაიკლი - საშობაო ბატი..!
ელენა - კომშით!

მაიკლი - (სიცილს მოსხეპს და საჩვენებელი თითით ემუქრება მაყურებელს) საშობაო ბატი კომშით!
ელენა - (წარბშეკრული) პიესა ერთ მოქმედებად და თერთმეტ სცენად.

(ორივენი წამოხტებიან, მუსიკა).

მაიკლი - ჩვენ ვიმყოფებით ევროსტანდატრებით გამართულ, ევრორემონტიან ბინაში. აქ არის Sony - KDL-40XBR9... და მერე ვეღარ ვკითხულობ... მოკლედ, "სონის" ტელევიზორი! მოცისფრო-მონაცრისფრო მეტალიკი! ათას შვიდას ას სამოცდაჩვიდმეტ ევროიანი! პლაზმური! პლაზმურ-კრისტალური ეკრანით! შიდა ავტონომიური კვებით! უერთდება ინტერნეტს და BRAVIA -ს ვიდეოზე თქვენ ხედავთ უნაკლო გამოსახულებას, მაქსიმალურ დეტალებში! ეს მხოლოდ ტელევიზორი კი არა, ოჯახის წევრია! ირეალური ხდება რეალური! შონყ ჩემი ოჯახის წევრია!..
ელენა - სააბაზანო! ფირმა "იმოლას" ყვითელი კაფელით - "პიკასო"! მართლაც რომ პიკასოს ყვითელია!
მაიკლი - Aსუს ტეკ-ის ერთ-ერთი მრავალ ფუნქციური ნოუთბუქი V1 სერიიდან - Asus V1Sn - ყველაზე პრეტენზიული პროფესიონალი მომხმარებლის არჩევანი! მაქსიმალური წარმადობით! იდეალურია პროფესიონალურ, ასევე სხვადასხვა გასართობ პროგრამებთან მუშაობისას!.. გამოირჩევა ეკონომიური და ფრიად ხანგრძლივი ავტონომიური მუშაობის დროით.
ელენა - და მაღალი ფასითაც - ათას შვიდას ორმოცდაცხრა ევრო!..
მაიკლი - და არც საშხაპე გამოდის იაფი... თავისი ჯაკუზით და შეკიდული ჭერით!..
ელენა - ეს ყველაფერი ერთად ქმნის ამ იდილიას...
მაიკლი - სადაც რეალური ხდება ირეალური!
ელენა - იწყება!
მაიკლი - წარმოდგენა?
ელენა - წარმოდგენა!
მაიკლი - ჰო, წარმოდგენა იწყება!

(სიბნელე.
უკანა მხარეს ნათდება ჩვენგან ზურგშექცევით მდგარი მაიკლი - შხაპის ქვეშ დგას და ბანაობს.
ელენა მაგიდასთან ზის, ლეპტოპი გაუხსნია და იმას უყურებს.
მაიკლი შხაპს გამორთავს, პირსახოცს აიღებს და ტანს იმშრალებს. ფლოსტები ვერ იპოვა და ფეხისწვერებზე მოაბიჯებს).

მაიკლი - ჩემი ფლოსტები სად არის?
ელენა - ფლოსტები არ ვიცი, მაგრამ ეს რა არის? (ლეპტოპის ეკრანზე მიუთითებს).
მაიკლი - (ფლოსტებს ეძებს) აბა, მე რა ვიცი, რომელ საიტზე ხარ? (მაგიდის ქვეშ იყურება). იქ დამრჩებოდა, სააბაზანოში...

ელენა - აი, ეს! (ჩართავს ვინდოუს პლეიერს და იქიდან ისმის ხმები პორნოვარსკვლავ ტერა პატრიკის ერთ-ერთი სუპერ-სექსუალური სცენიდან). ისევ ტერა პატრიკს უყურებდი, არა?
მაიკლი - მე... (გადის საშხაპეში და იქიდან ისევ ფეხშიშველი ბრუნდება) არც იქ არის...
ელენა - კარგი რა, კარგი რა... ეს მერამდენედ უნდა გადაწერო და წაშალო, მერამდენედ?! მანიაკი ხარ?..
მაიკლი - მანიაკი კი არა, ფლოსტებს ვეძებ.
ელენა - ფლოსტები კი არა, დანა მოძებნე და შენი ხელით მოიჭერი!.. (მიდის მაიკლთან, ფეხს მიადგამს მკერდზე და უკან გადააგდებს) მაინც აღარაფერში გამოგადგება, ისე დაგიქვეითდებოდა პოტენცია...
მაიკლი - მე ხომ დაგპირდი, არც ერთ პორნოვარსკვლავს აღარ შევხედავ მეთქი... (კვნესით წამოდგება) ეს მე არ გადამიწერია...
ელენა - არ გადაუწერია!.. მერე, მერე?
მაიკლი - ჰოდა, არც შემიხდავს!..
ელენა - აბა, ვინ გადაწერა პირდაპირ ჩვენს ვინდოუს პლეირში?
მაიკლი - აბა, მე რა ვიცი? ათასი გაიძვერა ჰაკერი დაძვრება ინტერნეტში...
ელენა - შენ ხარ პირველი და მთავარი გაიძვერა! შენ!.. და რომ წამოვა ნიკაპში ჩემი წვეტიანი ფეხსაცმელი, მერე ნახავ, როგორ უნდა ვირტუალური ღალატი!
მაიკლი - კარგი რა... ეს შობა საღამო ხომ არ უნდა ჩამაშხამო? ვირტუალური ღალატი აღარ გამიგია!..
ელენა - მაშ, მე ამ შენ ტერა პატრიკზე უკეთესი ეს არა მაქვს?! (ხალათით დაიფარავს მაყურებლისგან და მაიკლს უკანალს გაუქან-გამოუქანებს).
მაიკლი - უჰ!.. უჰ!...
ელენა - ჰა?
მაიკლი - გაქვს, როგორ არა გაქვს... თანაც, ძალიან...
ელენა - მილიონჯერ ვჯობივარ მაგ შენს ტერას, აბა, შემხედე!
მაიკლი - მე კი შეგხედავდი, მაგრამ ჯერ ფლოსტები უნდა ვიპოვნო და მერე ბატი არ გავაკეთო? (ერთ-ერთ პუფთან პოულობს თავის ფლოსტებს) აი, სად ყოფილა!.. (ჩაიცმევს, ეშმაკური ღიმილით) არადა, ახლად ნაბანავებ ქალს არაფერი სჯობია!.. და, მით უმეტს შენ, ჩემო კომშო! სულ კომშის სურნელი გიდის ხოლმე...
ელენა - (ბრაზით). მიდი, მიდი და ბატი გაპუტე!.. შე მართლა ბატო!.. მომინდომა კომშის სურნელი!..
მაიკლი - (ელენასკენ მიდის) კომშს აგდებით ნუ შეხედავ, საყვარელო!.. ოთხასი ათასი წელიწადია, რაც არსებობს! შუა საუკუნეების ევროპაში კომში დიდი სიყვარულის სიმბოლოდ ითვლებოდა...
ელენა - წადი რა, წადი და იმას უძახე კომში...
მაიკლი - კომშში შედის პროვიტამინი ა, ვიტამინები: ბე, ბე-ერთი, ცე, პე-პე... (უფრო უახლოვდება)...
ელენა - არ მომეკარო მეთქი!..

მაიკლი - და ორგანული მჟავების კომპლექსები... (შემობრუნდება და სამზარეულოში შედის).
ელენა - მიდი, მიდი და ეგ შენი ტერა პატრიკი წარმოიდიგინე ხოლმე...

მეორე სცენა

(მაიკლი სამზარეულში დიდი დანით დაკლავს ბატს, გაფუფქავს, დიდ ჯამში ჩადებს, და იმით და სანაგვე ვედროთი შემოვა ოთახში. ერთ პუფზე დაჯდება და ბატის გაპუტვას იწყებს და ბუმბულს ნაგვის ვედროში ყრის).

მაიკლი - ეეეჰ... (ჩქარ-ჩქარა აცლის ბუმბულს). ტყუილად კი არ თვლიდა პლუტარქე, რასაც თვლიდა...
ელენა - რას თვლიდა?
მაიკლი - ქორწინება კომშივით რამეაო...
ელენა - როგორ თუ კომშივით?
მაიკლი - ბევრი კარგი რამე აქვსო და ტკბილიაო, მაგრამ...
ელენა - მაგრამ, რაო?
მაიკლი - არ აკლია სიმჟავე და გულზე დადგომაც იცისო...
ელენა - გულზე დადგომაცო, არა?!
მაიკლი - სხვათა შორის, შენი გვარი - კომშს ნიშნავს...
ელენა - შენი კი - ბატს, ლათინურად... და მეც გეძახო ბატი?

(საათიდან ცხრაჯერ რეკავს).

მაიკლი - რამდენჯერ დაიძახა? რვაჯერ?
ელენა - არა, ცხრაჯერ!
მაიკლი - ვაი, გვაგვიანდება! (უფრო გამალებით პუტავს ბატს) სამ საათში შობა მოვა.
ელენა - მორჩი ეგ ბატი დროზე და ლეპტოპთან გამოცხადდი...
მაიკლი - ისევ პირობა უნდა დამადებნო, რომ ტერა პატრიკს აღარ ვუყურებ?
ელენა - არა, აერღუმელში შედგი ეგ ბატი, დაიბანე ხელები და მოდი!
მაიკლი - რატომ, მიწისძვრა მოვაწყოთ?
ელენა - ლეპტოპთან უნდა დავსხდეთ, წარსული შევაჯამოთ და მომავალი დავგეგმოთ...
მაიკლი - ვერა, ასე ჩქარა ვერ მოვრჩები - ჯერ ეს ბატი უნდა გავტუსო, მერე გამოვშიგნო, მერე კარგად უნდა გავრეცხო, მერე გარედან და შიგნიდან დავამარილო. მერე კომში დავჭრა საფარშედ, მერე შიგნით ჩავუდო ფარში და, მერე კისერი და მკერდი ამოვუკერო და, მერე უნდა შევდგა შესაწვავად.
ელენა - ჰოდა, ბატს რომ მოამზადებ, კომში აქ გაარჩიე...

(მაიკლი ბატს აიღებს და ბუმბულით სავსე ნაგვის ვედროს, გადის სამზარეულოში. მინის ტიხრის მიღმა მოჩანს, როგორ ტუსავს ბატს ცეცხლზე, მერე რეცხავს, მერე დიდი, ნაჯახისმაგვარი დანით გამოშიგნავს, ისევ რეცხავს და ახლა კომშებს აწყობს თასში. იმასაც გარეცხავს, ზედ იმ დიდ დანას დაადებს და გამოდის.
ამასობაში ელენა ამოიცმევს ტანგას, პისახოცის ხალათს შეინახავს, თავს გაყოფს დიდ, კომშისფრ სვიტერს და იმის ქვეშ ჩაიცმევს ბიუსჰალტერს, მერე მწვანე ქვედაბოლოსაც მოირგებს და სარკეში ათვალიერებს საკუთარ თავს).

ელენა - შენებმა ხომ არ დარეკეს?
მაიკლი - (შემოდის კომშებით ავსებული თასით, რომელსაც ზედ დიდი დანა ადევს). რატომ უნდა დაერეკათ?
ელენა - რა ვიცი, იქნებ მოსვლა გადაიფიქრეს?
მაიკლი - კარგი რა, კომშო! (დაჯდება, კომშის გათლას იწყებს). რატომ არ გიყვარს ჩემი მშობლები? (ბრაზით ფცქვნის კომშს).
ელენა - მშობლები არა, მშო-ბე-ლი... (ლეპტოპზე წერს რაღაცას). მამაშენმა რა დამიშავა?
მაიკლი - არც დედას უწყენინებია შენთვის არაფერი...
ელენა - (ჰბაძავს დედამთილს) შვილიკო! თქვენ ღირსეული კაცი უნდა იყოთ!.. თქვენც და თქვენი შვილიც! ზოგიერთი კომშისგან გასხვავებით!.. (თავისი ხმით) და მე მიყურებს ხოლმე ზიზღით...
მაიკლი - აბა, როდის გიყურებს ხოლმე... უბრალოდ, კომში არ უყვარს, გულზე მადგებაო და იმიტომ ამბობს ხოლმე...
ელენა - მიყურებს, მიყურებს...
მაიკლი - მე ამ ნათქვამში ცუდს ვერაფერს ვხედავ... და მე, მართლაცდა - ღირსეული პიროვნება ვარ!..
ელენა - ჰო?.. ეგ იმ დროს გაიხსენე, სუპერ სექსუალურ სცენებს რომ უყურებ ხოლმე!..
მაიკლი - კარგი რა, მართლა და მართლა, სულ ნუ ჩამაშხამე ეს საღამო!.. ხომ გითხარი, აღარ გადმოვიწერ მეთქი!.. მეტი რა ვქნა, მართლა ხომ არ მოვიჭრი?
ელენა - ჯერ ნუ იჩქარებ... რა იცი, რაში დაგვჭირდეს... მოდი აქ, უნდა შევაჯამოთ...
მიკლი - შევაჯამოთ კი არა, შენ თვითონ მოდი და ამ კომშის გარჩევაში მაინც მომეხმარე... (მომდევნო კომშს აჭრის გულს). ბატი ხომ მარტომ გავპუტე!..
ელენა - მე რატომ უნდა გავარჩიო? მე ხომ გითხარი, რესტორნიდან მოვიტანოთ მეთქი...
მაიკლი - მითხარი, როგორ არ მითხრი, მაგრამ...
ელენა - ჰოდა, როგორც ღვიძლის პაშტეტი მოვიტანეთ, ლაპლატურად; როგორც შემჭვარი გოჭი ცხარე საწებლით, ბავარიულად; როგორც საშობაო პუდინგი და ყველი ქვემო ბეარნულად, ასევე მოგვეტანა ეგ შენი საშობაო ბატი კომშით.
მაიკლი - (აღშფოთებული) აბა, მითხარი, რომელ რესტორანში გააკეთებენ ჩემნაირად? რომელში? გერმანელებთან თუ დანიელებთან?
ელენა - თუ არ შეგეძლო, არ გაგეშვა მაშინ ჩვენი მოსამსახურე ჟოზეფინა და ის მოგეხმარებოდა... აბა, მე რა ვიცი კომშის დაჭრა? თავად კომში ვარ, კომშის სურნელით...
მაიკლი - აი, სულ ასე იცი! შენ მაშინაც არ მომაწოდე მიქსერი!

ელენა - აბა, როდის?
მაიკლი - როდის და, "ნაპოლეონს" რომ ვაცხობდი!
ელენა - აუ, ეგ როდის იყო!..
მაიკლი - როდის და, აქვე, წინა საუკუნეში!
ელენა - შენ არ ამბობდი, მხატვარი ვარ და ფერწერულად უნდა გამოგიცხოო?! და თანაც "ნაპოლეონს" კი არა, "ჟოზეფინას" აცხობდი! "ჟოზეფინას"!
მაიკლი - საბრალო, საბრალო მოხუცი ჟოზეფინა... განა არ ეკუთვნოდა საშობაო დასვენება, როცა მანამდე მთელი წელიწადი ჩვენ გვემსახურა?
ელენა - ჰოდა, თუ ეკუთვნოდა, დაჭერი ეგ შენი კომშები და ისე მომისმინე!
მაიკლი - (ტელევიზორის გადასართავ პულტს დაეძებს) პულტი რა იქნა?
ელენა - (ლეპტოპის კლავიატურაზე კრეფს რაღაცას) აი, შეხედე, რა ტრაკობას აქვს ადგილი...
მაიკლი - აბა? (ელენას უყურებს უკანალზე).
ელენა - სად იყურები, ბანკებზე ვთქვი... (რაღაცას ანგარიშობს). აი, უყურე... მე ახლა ვაკეთებ დეკემბრის მდგომარეობით და ნახე, რა გამოდის...
მიაკლი - (კომშის დაჭრას თავს ანებებს და რაღაცის ძებნას იწყებს) სად ოხრობაშია?.. სადაცაა დოღები დაიწყება...
ელენა - რა დოღი, აქ უყურე მეთქი!.. ამ ბანკში აგარაკის ვალი არის სამოცდაექვსი ათას შვიდას ორმოცდაცხრამეტი ევრო და ოთხმოცდაშვდი ევროცენტი...
მაიკლი - დოღები... (ისევ პულტს დაეძებს) დოღები "ევროსპორტზე"...
ელენა - მოეშვი მაგ დოღებს, მაიკლ!.. მაინც სულ აგებ და აგებ...
მაიკლი - ჯერ ვაგებ, მაგრამ ერთხელაც იქნება და გამიმართლებს, ძალიან გამიმართლებს და მერე ნახე...
ელენა - შენი მოგებული მე ჯერ არ მინახავს და...
მაიკლი - იმიტომ, რომ ჩაწყობილია... თორემ, მე ცხენების პროფესორი ვარ... ხომ მოგიყევი, კინაღამ რომ ჟოკეი გავხდი...
ელენა - ბატმა გინდა ღობის იქით იყიყინოს, გინდა ღობის აქეთ, მაინც ბატია.
მაიკლი - (პოულობს პულტს და ტელევიზორს გადართავს) მაგასაც ვნახავთ!.. თან გისმენ, ჩემო სურნელოვანო, ჩემო მშვენიერო კომშო!
ელენა - აი, ნახე!..
მაიკლი - აბა?
ელენა - თვეში რომ შეგვაქვს ხუთი ათას სამას სამოცი ევრო და სამოცდაშვიდი ევროცენტი, აქედან ძირის დაფარვა ხდება ათას ასი ევროთი და დანარჩენი სულ პროცენტში მიდის!.. წარმოგიდგენია? (მაიკლს ხელში შეჰყინვია ნახევრად გათლილი კომში და დანა და, პირდაღებული უყურებს დოღს). უჰ, შე მართლა ბატო!
მაიკლი - ფუჰ, შენი!.. ფუჰ!
ელენა - ისევ წააგე?!
მაიკლი - ბევრი არა, ცოტა... ჩემი სიგარეტის ფულს მოვაკლებდი ხოლმე, იმას ვაგროვებდი და იმით ვითამაშე... და, ესე იგი, ძირი უფრო მეტია, ვიდრე პროცენტი?

ელენა - პირიქით, სულ პირიქით. პროცენტში გაცილებით მეტი ფული მიდის შენატანიდან, ვიდრე ძირის დაფარვაზე...
მაიკლი - ჯანდაბა!.. აი, ისევ!...
ელენა - და, აბა, მოდი, ვნახოთ, რა ხდება ამ ჩვენი ბინის გადასახდთან დაკავშირებთ მეორე ბანკში? აქ ათწლიანი კრედიტი გვაქვს, ათწლიანი და ეს არის ორას ოცი ათასი ევრო.
მაიკლი - ორას ოცი ათასი!
ელენა - და აქაც ძირითადი ვალი ცოტა ფულით იფარება და დანარჩენი სულ პროცენტის დასაფარად მიდის...
მაიკლი - ეს ბინა... (გაფცქვნილ კომშს თხელ ნაჭრებად ჭრის და რომ ბრაზდება, სიჩქარეს უმატებს) აბა, ის პირველი ბანკი რით ჩამორჩებოდა ამ მეორეს?..
ელენა - და მანქანას უყურე ახლა...
მაიკლი - ო, ღმერთო, ჩვენი მანქანა... გვეყიდა რაიმე ძველი...
ელენა - როგორ, ვიღაცეების ნახმარი ავტომობილით გვევლო ამ გაქანებულ ოცდამეერთე საუკუნეში? ის ხომ კარგია, სულ ახალთახალი "რეინჯ-როვერი" რომ გყავს?
მაიკლი - მაგარია! ძალიან მაგარი! (უფრო გაცხარებული ჭრის კომშს და ტელევიზორს უყურებს). ფუჰ, შენი! ფუუუ, შენ ცხენი კი არა, ვირი უნდა ყოფილიყავი, ვირი!
ცხენი ტელევიზორიდან - კარგი რა, ნუ მაგინებ! ჩემი ბრალი არ არის!
მაიკლი - როგორ არ არის, პირველი უნდა ყოფილიყავი და მესამე მოხვედი! მესამე!
ცხენი ტელევიზორიდან - ან მესამე როგორ ვიყავი, ეგეც კი მიკვირს!
მაიკლი - რა არის საკვირველი, არაბული ჯიშის ცხენი ხარ, სამი წლის ცხენი! შენზე დიდი აღარ ვარგა და შენზე პატარა! პირველი უნდა ყოფილიყავი!
ცხენი ტელევიზორიდან - ხომ გითხარი, ჩემი ბრალი არ არის მეთქი!
მაიკლი - აბა, ვისი ბრალია? ისევ ჩააწყვეს?
ცხენი ტელევიზორიდან - არა, არა, აქ ჩაწყობა არ შეიძლება, ყველას ციხეში ამოგვაყოფინებენ თავს.
მაიკლი - აბა, რა გეტაკა! გუნებაზე ვერა ხარ?
ცხენი ტელევიზორიდან - მოსახვევში ცუდად შევედი და ფეხი გადამიბრუნდა!
მაიკლი - გადაბრუნებული ფეხის არაფერი გეტყობა, მშვენივრად დადიხარ!@
ცხენი ტელევიზორიდან - მთლად კი არ მიღრძვია, მაგრამ არც არაფერი დამკლებია...
მაიკლი - არაბული ჯიშის კი არა, ვირი ხარ და მეტი არაფერი!..
ცხენი ტელევიზორიდან - გამოთქმები შეარჩიე, გეთაყვა, თუ შეიძლება!.. ახალ ისეთ რამეს გეტყვი, რომ ცხენად ყოფნა მოგენატრება!
მაიკლი - მე - ცხენად? არც კი იოცნებო!
ცხენი ტელევიზორიდან - მე ისეთი ვინმე მაზის ხოლმე ზურგზე, რომ იმის შემოჯდომას ყველა ინატრებდა!
მაიკლი - მაგალითად, ვინ? კერძოდ?!
ცხენი ტელევიზორიდან - ტერა პატრიკი!
მაიკლი - თვითონ ის?!
ცხენი ტელევიზორიდან - ჰო, თავად ტერა პატრიკი!

მაიკლი - (მწარედ იმედგაცრუებული) ცხენად ყოფნაც რომ სანატრელი გაგიხდება, ეს არის ცხოვრება?
ელენა - მოეშვი მეთქი მაგ დოღს... მაინც სულ აგებ და აქ მიყურე...
მაიკლი - გიყურებ, აბა, რას ვაკეთებ?
ელენა - ამ მესამე ბანკმა მოგვცა კრედიტი ას ოცი ათასი, მაგრამ, აბა, წარმოიდგინე, ახლა რომ კრიზისია და "რეინჯ-როვერებიც" გახდა ოთხმოცი ათასები... აი, ახლა რომ გამოგვეყვანა მანქანა, მთელი ორმოცი ათასი ევროს დანაზოგი გამოვიდოდა, მაგრამ არაუშავს! ამასაც დავფარავთ!
მაიკლი - შვიდ წელიწადში?
ელენა - არა, ესეც ათწლიანია. რით ვეღარ დაიმახსოვრე, რომ მარტო აგარაკია შვიდწლიანი! და აქ რაღა ხდება პირველი დეკემბრის მდგომარეობით?
მაიკლი - რა უნდა ხდებოდეს? რაც სხვაგან ხდება, მანდაც ის მოხდება... წავედი, ფარში უნდა გავაკეთო, ბატს შიგნით ჩავუდო, მერე ყელი და კისერი გავუკერო და ღუმელში შევდგა... ხომ იცი, დედაჩემს როგორი გაკეთებული უყვარს? (გადის თავისი დაჭრილი კომშის თასით. მერე ისევ შემოყოფს თავს). როგორი, როგორი და - კარგი! ჩვენი ოჯახის პატარა, სულ ერთი ციცქნა საფირმო საიდუმლოთი!
ელენა - რით ვეღარ მორჩი ეს ბატი, ამხელა მხატვარი კაცი ხარ... და ამათი გამომძალველი დედაც რაააა... აქ უარესია... ხედავ? პროცენტი ძირის ვალზე ამათთან შვიდჯერ მეტია! შვიდჯერ!
მაიკლი - (შემოდის აღელვებული) აბა, არ იცოდი, რომ ეს ბანკები ერთი-მეორეზე უფრო სისხლისმწოველი წურბელები არიან? რად გვინდოდა ამდენი კრედიტები? ეს კრედიტები ხომ ჩვენნაირებისთვის არის სულ გამოგონილი...
ელენა - მოიცა, მოიცა... არ ამირიო ანგარიში... ფერმის ვალი, იმ ფერმისა, სადაც ევროპული სტანდარტების აუზი გვაქვს, ოთხმოცი ათასი ევრო დაჯდა მთელი თავისი მიწის გადასახადებით და ევრორემონტებით. გვინდოდა?
მაიკლი - გვინდოდა! ეს - ერთი!
ელენა - ამ ბინის ვალი, ესეც მოდერნში გადაწყვეტილი და ესეც ქალაქის საუკეთესო არქიტექტორის დაგეგმილი და თანაც სად? - ჯვაროსნების ბულვარზე! ანუ სწორედ იქ, სადაც პრესტიჟული სამსახურების ცხვირაბზუებული ხალხი ცხოვრობს სულ! საშუალო ფენა! თავიანთი შინა მოსამსახურეებით, გარაჟებით და ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა ავტოებით!.. ჰო, ამ ბინის ვალი - ორას ოცი ათასი ევროა და "რეინჯ-როვერი", სულ ახალთ-ახალი - ას ოცი ათასი ევრო.
მაიკლი - სულ რამდენი გამოვიდა? (ისევ გადის სამზარეულოში).
ელენა - ნეტავ როგორმე დაიმახსოვრებდე, რომ სულ ოთხას ოცი ათასი ევროს კრედიტი ავიღეთ, ოთხას ოცი ათასის!
მაიკლი - ლამის ნახევარი მილიონი ევრო! (შემოდის ბატის მკერდის კერვით)... ეს - ორი!.. და მესამე კიდევ ის, რომ - რად გვინდოდა ამხელა კრედიტები, რად გვინდოდა?! (ნემსს იჩხვლიტავს თითში) ახ!.. ჯანდაბა!
ელენა - მოიცა, კომშის არომატს შეგიბერავ და გაგივლის! (სულს უბერავს).
მაიკლი - არ შეიძლებოდა ჩვენც სხვებივით წყნარად გვეცხოვრა?

ელენა - დაგავიწყდა, საიდან ამოგიყვანე? მე რომ შენთვის მესმინა, ისევ იმ ჩამონგრეულ ოროთახიანში იჯდებოდი ქვემო უბნის ჯურღმულში და ბედნიერად იგრძნობდი თავს იმ მათხოვრებში! ხუთი ევრო, ხუთი ევრო ვერ გასესხა ვერვინ, რომ ტელეფონზე დამერეკა!..
მაიკლი - მარტო ჩემზე რომ ყოფილიყო, მე კრედიტს არ ავიღებდი. როცა მექნებოდა, მარტო მაშინ დავხარჯავდი...
ელენა - ეს კრედიტები ჩემი კაბებისთვის და ძვირფასეულობისთვის არ ამიღია!.. რა, არა ვარ მართალი? არა ვარ?
მაიკლი - მართალი ხარ, მაგრამ შენთვის არ უნდა დამეჯერებინა... (გადის გაკერილი ბატით).
ელენა - (ატირდება) მარტო ჩემთვის მინდოდა?!. ჩემთვის? სამას სამოცი ევრო ღირს ჩემი სათვალე და ის ვერ მიყიდია, მთელი ჩემი ხელფასი სულ ამ კრედიტის დასაფარად მიდის...
მაიკლი - (შემოდის სამზარეულოდან) ჰო, მარტო შენთვის არა, ორივესთვის გვინდოდა... და გვინდა კიდევაც... არ იდარდო, კომშო, ყველაფერი იქნება კარგად...
ელენა - დეგენერატი და დამპალი ხარ... დეგენერატი და დამპალი...
მაიკლი - (მიდის და ყნოსავს) უჰ! უჰ!
ელენა - უჰ და ჯანდაბა!
მაიკლი - როგორი კომშის არომატი გაქვს მართლა...
ელენა - თავი დამანებე!..
მაიკლი - ახლავე შემირიგდი, ახლავე, თორემ დამეწვება ის ბატი!.. ხომ იცი, თავისივე წვენი უნდა მოვასხა ხოლმე... (მოეხვევა).
ელენა - ჰო, დედიკო და მამიკო არ გაანაწყენო! შობას უბატოდ ხვდებიანო!
მაიკლი - ჰო, უბატისკომშოდო!.. (იცინის). ძალიან ლამაზი ხარ!
ელენა - ვარ, როგორ არა ვარ!.. და იმ შენ ინტერნეტის ბოზებს მილიონჯერ ვჯონბივარ!
მაიკლი - ჰო, კომშო! მილიარდჯერაც სჯობიხარ და უფრო მეტჯერაც... (მიდის სამზარეულოსკენ, შეჩერდება). ისე კი, შეჩვევა სცოდნია ვალებს... და... მთელი ცხოვრება რომ ვალებში გადის, უკვე ამასაც მივეჩვიე...
ელენა - შენ არ იდარდო!.. რაღა დარჩა, შვიდი წელი და ცხრა თვე და მორჩება. აგარაკიც ჩვენი იქნება, ეს ბინაც და "რეინჯ-როვერიც”...
მაიკლი - (გამოდის) ჰო, ჩვენი იქნება, თუ სამსახურიდან არ გამოგვყარეს და ბანკებმა აუქციონზე არ გაგვიყიდეს ყველაფერი...
ელენა - მაგისი მეც მეშინია... მეც ძალიან მეშინია, მაგრამ ვცდილობ, არ ვიფიქრო ხოლმე ამაზე... (ყურზე ნიჟარას მიიდებს) ზღვა, ზღვა... გახსოვს პალმა დე მალიორკა?
მაიკლი - (შემობრუნდება) იცი, რა, კომშო? აღარ მინდა მუშაობა... ჩვენ ფერმაში მინდა...
ელენა - (ზღვის ტალღებივით ლაპარაკობს) ეეეგ ააარ იფიქროო, არაა... ეგ ხომ ღალატი იქნება... ღალატი და ასეთ არომატულ კომშს მარტო ხომ არ დამტოვებ ამხელა ვალებთან? შენ ხომ მხააატვარი ხარ! თითქმის პიკასო, კუბისტური პერიოდის მერე და ცოტა ბოსხი, მარჯვნიდან...
მაიკლი - შენი წყალობით, დიდი ხანია მხატვარი აღარ ვარ!

ელენა - არც ყოფილხარ!
მაიკლი - სამაგიეროდ, წამყვანი დიზაინერი ვარ ჩვენ კორპორაციაში!
ელენა - მერე, ცუდია? და არ დაივიწყო, ვისი დამსახურებით მოხვდი იქ!
მაიკლი - იცი რა, კომშო? მე დავიღალე უკვე! ჩვენ ფერმაში მინდა, ჩვენ აუზთან! დავიდგამდი მოლბერტს, ერთ ბოთლ შავ ღვინოს...
ელენა - მე მზეს მივეფიცხებოდი, შენ კი კრემს წამისვამდი!
მაიკლი - არა, კრემს კი არ წაგისვამდი, მე დაგხატავდი!.. (თავის მოლბერთთან მიდის, ფუნჯს აიღებს) დაგხატავდი იისფერ ტონებში!.. წარმოიდგინე, რა ლამაზი იქნებოდი - იისფერი და ცოტა მწვანე!
ელენა - და ყველა იკითხავდა, ვინ არის ეს ქალი ასეთი იისფერიო?! და ცოტა მწვანეო?!
მაიკლი - და იქნებოდა დიდი მზე, დიიიდი!.. ალივლივებული ჩვენ აუზში... დიდი იდილია და... გაკვირვებული ფუტკრები იფრენდნენ ნახატთან...
ელენა - ბზზზ...
მაიკლი - ბზზზ...

(ისმის ზარის ხმა).

მაიკლი - წავიოცნებეთ... (შედის სამზარეულოში) შენ გააღებ, ხომ?..

(ზარი მეორდება).

ელენა - (დაადევნებს) მაცივარში ერთი ბოთლი ბურგუნდული ღვინოა - შენი ბატისთვის მოგიტანე...

მესამე სცენა

(ელენა კარს გააღებს.
კარს მიღმა მოჩანს გრძლად გაჭიმული ხალიჩა - თითქოს პოდიუმიაო. იმ ხალიჩის ბოლოში დგას უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანის სილუეტი.
ელენა იკივლებს და გულწასული დაეცემა.
მაიკლი მორბის, ისიც დაინახავს მოსულს და ახლა იმას წაუვა გული.
სცენაზე შემოდის სტუმარი, მოათვალიერებს ოთახს, მერე შამპანურის ბოთლს დაავლებს ხელს, გახსნის და გულწასულების მოსულიერებას ცდილობს იმით).

ბონიფაციუსი - ქალბატონო! ქალბატონო! (უყვირის). გონს მოდი! (ხელში აიყვანს ელენას, შემოდის და ტახტზე დააწვენს და შამპანურს აპკურებს სახეზე, მერე ცოტას დაალევინებს კიდეც. ელენა ახველებს და თვალებს გაახელს).
ელენა - ბატ... ბატ... ონო...
ბონიფაციუსი - (ყნოსავს) საღამო მშვიდობისა, კომშო!

ელენა - თქვენ... ჩვენთან... თქვენ აქ... ონო, ონო... ბატ, ბატ...
ბონიფაციუსი - კი, და რატომაც არ უნდა მოვსულიყავი?
მიკლი - (ბარბაცით შემოვა ისიც, ბონიფაციუსს შამპანურს გამოართმევს და პირდაპირ ბოთლიდან მოსვამს) თქვენ გამარჯვებისა იყოს, პატივცემულო ბატონო...
ბონიფაციუსი - სალუტ!..
მაიკლი - (ბოთლს ბონიფაციუსს გაუწვდის) თქვენც ხომ არ გასინჯავდით?
ელენა - რას ამბობ!..
მაიკლი - უკაცრავდ, ჩემი ნაპირალია... სხვა ბოთლს მოგართმევთ ახლავე... (წასვლას დაპირებს).

ბონიფციუსი - არ არის საჭირო... ახლა იქნება მთავარი შემოსვლა!

(ბონიფაციუსი პოდიუმის ხალიჩაზე მოაბიჯებს - გგონება, ახალი მოდის ჩვენებაო. ისმის შესაბამისი მუსიკა და ბონიფაციუსი გზადაგზა იხდის სრულ ლაბადას, მერე სრულ პიჯაკს, მერე ისევ სრულ ჯემპრს, და ტანზე შემოკვალთულ, ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელში რჩება).

მაიკლი - აი, შემოსვლაც ამას ჰქვია!
ბონიფაციუსი - (ელენას) აბა, კომშო, თავს როგორ გრძნობთ?
ელენა - კარგად... ახლა უკვე კარგად... მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ამხელა კორპორაციის...
მაიკლი - ახლა უკვე კონსორციუმის...
ელენა - ჰო, ახლა უკვე კონსორციუმის მფლობელი ჩვენთან მოსვლას იკადრებდა.
მაიკლი - მოხარული ვართ თქვენი სტუმრობის!..
ბონიფაციუსი - იცით, ჩვენი კორპორაციის კონსორციუმად გარდაქმნასთან დაკავშირებით ახალი შიდა სამსახურეობრივი ურთიერთობების დამყარება იწყება მომავალი წლიდან. დირექტორთა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჩვენი ათი ათასი თანამშრომელიდან სამი განსაკუთრებით საუკეთესო ამოგვერჩია და საშობაო საღამოს მათ ვწვეოდით. პირველობა კი თქვენ გერგოთ!..
ელენა - ვაი!
მაიკლი - მართლა?!
ბონიფაციუსი - და ეს სამივე ოჯახი, თქვენი ჩათვლით, მიიღებენ საუცხოო ტორტებს!.. და რაკი თავს გამონაკლისად ვერ ჩავთვლიდი, ამ აქციაში მეც ვმონაწილეობ!..
მაიკლი - ბედიც ამას ჰქვია!
ბონიფაციუსი - ალბათ!
ელენა - ძალიან სასიამოვნოა!..
მაიკლი - სუფრასთან მობრძანდით და მალე...
ელენა - ვაიმე, ბატი!.. ბატი არ დაიწვას!
მაიკლი - ჰო, ბატი უნდა გადავაბრუნო!.. (გარბის სამზარეულოში) და მალე საშობაო ბატსაც შემოვიტან, კომშით...

ელენა - სუფრასთან მობრძანდით. აქ დაბრძანდით, ან აქ! ან სადაც უფრო მოხერხებულად იქნებით!
ბონიფაციუსი - (გასასვლელისკენ მიდის) მე ახლავე დავბრუნდები...
ელენა - როგორ, უკვე მიდიხართ? ერთი ფუჟერით მაინც არ გვადღეგრძელებთ?
ბონიფაციუსი - არა, არ მივდივარ, ახლავე შემოვალ... (გადის და ცოტა ხანში ლამაზად გაფორმებული ლანგრით შემოაქვს ტორტი) საით წავიღო?
ელენა - მაგიდაზე დადგით!
ბონიფაციუსი - ეს ჩვენი სინდიკატის საჩუქარია საუკეთესო თანამშრომლებისთვის. საშობაო ტორტი.
ელენა - დიდ მადლობას მოგახსენებთ, დაბრძანდით. სადაც გნებავთ.
ბონიფციუსი - ძალიან რომ მეჩქარება? კიდევ რამდენიმე ადგილას მისვლა უნდა მოვასწრო თორმეტ საათამდე.
ელენა - იცით, ჩვენს განყოფილებაში როგორ უყვარხართ ყველას?
ბონიფაციუსი - როგორ?
ელენა - ძალიან!.. და რას წარმოვდგენდი, თუ აქ მოხვიდოდით...
მაიკლი - (შემოაქვს ახლად შემწვარი ბატი ლანგრით) ესეც ჩვენი საფირმო, დიდებული, ლამაზი და მშვენიერი...
ელენა - საშობაო ბატი კომშით!
ბონიფაციუსი - (მაიკლს) თქვენი გვარი ლათინურად ბატს ნიშნავს, ხოლო თქვენი კი (ელენას) კი კომშს!.. ასე რომ, თქვენც ბატი კომშით ხართ და სუფრაზეც ბატი კომშით გაქვთ...
მაიკლი - ჰო, ეს არის ბატი კომშის ფარშით და ერთი პატარა, სუუულ პატარა და სუუულ ციცქნა და სუუუულ ცეროდენა ჩვენი საოჯახო საიდუმლოთი...
ელენა - საუცხოო კერძია, სრულიად... დიახ!
მაიკლი - აუცილებლად უნდა გასინჯოთ (დანას აიღებს და დაჭრას დაუპირებს ბატს).
ბონიფაციუსი - მაგრამ ჯერ თორმეტი საათი არ მოსულა... ამიტომაც არ იცით, როგორ უნდა გაკეთდეს საშობაო ბატი თაფლიანი კომშით! მოდით, ჯერ ნუ იჩქარებთ...
მაიკლი - თუ იკადრებთ, ამნაირ შესანიშნავ ბატს, სწორედ ამნაირ ბატს ხვალვე მოგრთმევთ საჩუქრად.
ბონიფაციუსი - (წამოდგება, ათვალიერებს ოთახს). როგორც დავრწმუნდი, ჩვენი კონსორციუმის თანამშრომლები მშვენიერ ბინებში ცხოვრობენ, პირდაპირ დიდებულ დარბაზებში... მანქანა? აგარაკი?
ელენა - დიახ, ფერმაც გვაქვს, ათმეტრიანი აუზით და...
მაიკლი - "რეინჯ-როვერი" გვყავს...
ელენა - წითელი... არა!..
მაიკლი - მწვანე!..
ბონიფაციუსი - ყავის...
ელენა და მაიკლი ერთად - ყავა ახლავე! (ორივენი ერთად ცდილობენ სამზარეულოს კარში შესვლას).
ბონიფაციუსი - მოიცა!.. მანქანაზე ვამბობ! ყავისფერი ჯიპი, არა?

ელენა - დიახ... (უკან გამოვა, მაიკლს მუჯლუგუნს ურტყამს). ტოსტი! ტოსტი უთხარი!
მაიკლი - (შამპანურს გახსნის და ფუჟერებში დაასხამს). ჩვენი კონსორციუმის სადღეგრძელო იყოს, პატივცემულო ბატონო!
ელენა - წინსვლა და გამაჯვება ჩვენს კორპორაციას! (ფუჟერებს უჭახუბენებენ და სვამენ).
ბონიფაციუსი - თქვენს ოჯახს ვადღეგრძელებ, ჩემო მშვენივრებო!
ელენა - თქვენ გაგიმარჯოთ!
მაიკლი - დიდი სიხარული, ჯანმრთელობა და უამრავი წარმატება როგორც პირად, ასევე სინდიკატის ცხოვრებაში!
ბონიფაციუსი - (ელენას) თუ არ შეწუხდებით, მეშვიდე არხზე გადამირთეთ, დოღები იწყება.
მაიკლი - როგორ? თქვენც თამაშობთ? (ელენას) აი, ხომ გითხარი, რომ ყველა ნამდვილი მამაკაცი დოღზე ჩამოდის მეთქი და გვარიანადაც!
ელენა - მანდ თამაში რაში გჭირდებათ, მთელი ეგ იპოდრომი ხომ თქვენია?
ბონიფაციუსი - კი, ჩემია, მაგრამ ვერთობი ხოლმე და ფსონებსაც კი ჩავდივარ... თან მაგალითსაც ვაძლევ სხვებს... (ჯიბიდან ლეპტოპს ამოიღებს და ჩართავს) ოღონდ, მხოლოდ ჩემი ლეპტოპიდან...
ცხენი ტელევიზორიდან - ამ დოღზე ვერ გამოვალ... სამწუხაროდ...
ბონიფაციუსი - რატომ?
ცხენი ტელევიზორიდან - მოსახვევში ფეხი გადამიბრუნდა და... კინაღამ ვიღრძე.
ბონიფაციუსი - ვერ გამოხვალ და ტერა პატრიკს სხვა ცხენზე შევსვამ!
ცხენი ტელევიზორიდან - მოიცა, მოიცა, გამოვდივარ მაშინ!
ბონიფაციუსი - კარგი, არ გინდა. ახლა დაისვენე და მომდევნოზე გამოდი.
ცხენი ტელევიზორიდან - ახლაც გამოვალ, ოღონდ აი, ეგ ქალი შემასვი ზურგზე!
ბონიფაციუსი - (ელენას შეათვალიერებს) მოგეწონა?
ცხენი ტელევიზორიდან - რით არის ტერაზე ნაკლები?
ბონიფაციუსი - (მივა ელენასთან, შემოუვლის გარშემო) არაფრით!
ელენა - იცით, ესეც (მაიკლისკენ მიუთითებს) სულ ცდილობს, მაგრამ წარუმატებლად.
ბონიფაციუსი - რას ცდილობს, ზურგზე რომ შეგისვას?
ელენა - არა, თამაშს...
მაიკლი - მაგრამ მე პატარა თანხას ჩამოვდივარ...
ელენა - არადა, ისე განვიცდი, ისე განვიცდი...
ბონიფაციუსი - რას?
ელენა - რაც არ უნდა იყოს, ეს ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ და რაც აუზიან ფერმაზე მოგახსენეთ და ყავისფერ "რეინჯ-როვერზე" - ეს ყველაფერი...
მაიკლი - ჩუმად, კომშო!
ელენა - ჰო, ჰო, კარგი... გავჩუმდი...
ბონიფაციუსი - ეს ყველაფერი სულ კრედიტით გაქვთ გამოტანილი... ვიცი...
ელენა - ღმერთო, რა გულისხმიერი ბრძანდებით...

ბონიფაციუსი - იცით, მე უკვე მაგვიანდება, მაგრამ... (საათზე დაიხდავს) არაუშავს, თხუთმეტი წუთი გინდა აქეთ იყო და გინდა იქით.
ელენა - დარჩით, ბატონო, დარჩით და ერთად მოვილხინოთ...
მაიკლი - მოვილხინოთ და მოვისმინოთ თუნდაც კალსიკური მუსიკა... ბეთჰოვენი...
ბონიფაციუსი - (ამრეზით) ბეთჰოვენი?
მაიკლი - ბახი!
ბონიფაციუსი - ბახი?
მაიკლი - მაშინ, ჩაიკოვსკი!
ბონიფაციუსი - უჰ, უჰ...
ელენა - როგორ ვერ ხვდები, რომ ჩვენ სტუმარს თანამედროვე უყვარს! (პულტით ჩართავს მაგნიტოფონს) ჯგუფი "განგმირვა"! თჰე Рიერცეს! (ისმის ამ ჯგუფის სიმღერა "Вორინგ" და ელენა ეცეკვება ბონიფაციუსს).
მაიკლი - (ადგილზე დგას და აჰყვება იმათ ცეკვას. ბონიფაციუსი და ელენა რომ დაამთავრებენ, ბონიფაცუისს მიმართავს) მაგარი ჯგუფია, ელისონ და კეტრინ პიესიზები!
ელენა - დები არიან...
ბონიფაციუსი - (მიდის მაიკლთან, ღიპზე მოუთათუნებს ხელს და იცინის) ეს რა არის!
მაიკლი - (ღიპს შეიწევს) არაფერი...
ბონიფაციუსი - აბა, ვის გაუგონია კონსორციუმ "ბონიფაციუსის" ღიპიანი თანამშრომელი?
ელენა - ვაიმე! უდიზაინეროდ ნუ დაგვტოვებთ, თორემ აზიის ბაზარზე შესვლა ისევ გაგვიძნელდება!
მაიკლი - არა, იცით, ეს ისე... (ბატისკენ მიუთითებს) საშობაოდ...
ბონიფაციუსი - უკანასკნელ ღიპიანს სამი თვის წინ დავატოვებინე სამსახური!
ელენა - მაგრამ ჩვენ ყოველდღე ვვარჯიშობთ!
მაიკლი - ყოველ დილა-საღამოს!
ელენა - და ზოგჯერ შუაღამისასაც კი!@
მაიკლი - აბა, რა! ძალიან!
ბონიფაციუსი - გეთანხმებით, მაგრამ შუაღამისას რომ ვარჯიშობდეთ, აქ ერთი ბავშვი მაინც ირბენდა!..
მაიკლი - ერთიც ირბენს და მეტიც!
ელენა - ეს ჩვენი გადასწყვეტი, სულ პატარა ოჯახური საკითხია!
ბონიფაციუსი - რასაკვირველია!..
ელენა - (მაიკლს) ხომ ხედავ, ჩვენ სტუმარს თანამედროვე მუსიკა უყვარს... მოდი, თან ვივარჯიშოთ და ვიცეკვოთ კიდეც...

(ორივენი ცეკვავენ და ვარჯიშობენ. აჰყვებათ ბონიფაციუსიც. მერე ყველანი დაიღლებიან და ჩერდებიან).

ბონიფაციუსი - (ჯიბიდან ჩეკების წიგნაკს ამოიღებს) თქვენი გვარი?

მაიკლი - ჩემი?
ბონიფაციუსი - თქვენი არა, (ელენას) თქვენი...
ელენა - (გარუკვევლად) დაბა-დუბა დიბ-დიბი.
ბონიფაციუსი - (იცინის) თქვენ კომში ყოფილხართ მართლა... (წერს მაიკლის ზურგზე) აჰა... და ესეც... ჰმ-ჰმ-ჰმ... ჰა-ჰა!.. (ჩეკს შეავსებს) ესეც ასეე...
ელენა - (მუსიკას ჩართავს) ვიცეკვოთ?
ბონიფაციუსი - გამორთეთ!
ელენა - (გამორთავს) კი, ბატონო.
ბონიფაციუსი - რამდენია თქვენი მთლიანი კრედიტი? თუ საიდუმლო არ არის?
მაიკლი - არც ისე ბევრი...
ელენა - ოთხას ოცი ათასი ევრო! ათი წლით!..
მაიკლი - (წყენით, ელენას) ესეც ჩვენი გადასწყვეტი, სულ პატარა ოჯახური საკითხია!
ბონიფაციუსი - (მაიკლს) ნუ ნერვიულობთ... (ელენას) მეც ასე ვივარაუდე... აი, ეს ჩეკი თქვენ სახელზეა გამოწერილი!
ელენა - უკვე მივხვდი...
ბონიფაციუსი - აქ ორასი ათასი ევრო ჩავწერე - თქვენი კრედიტის ნახევარს ამით დაფარავთ.
მაიკლი - დიახ, ძალიან!..
ელენა - დიდი მადლობა, ძალიან დიდი...
ბონიფაციუსი - მადლობას ნაადრევად ნუ მომიხდით...
მაიკლი - რატომ ნაადრევად?
ბონიფაციუსი - მე ორმოცი წელიწადია ბიზნესში ვარ და ამხელა თანხას ტყუილად არავის ვაჩუქებ. არც თქვენ!
ელენა - აბა, რას ითხოვთ ჩემგან?
ბონიფაციუსი - რაც ვითხოვ და... (სიგარას ამოიღებს, შესთავაზებს მაიკლს, მერე თავადაც მოუკიდებს და მაიკლიც). დიზაინერო, თქვენ ხომ მშვიდი და გაწონასწორებული კაცი ხართ?
მაიკლი - დიახ, სრულიად აუცილებლად და ყოველ მიზეზ გარეშე!..
ბონიფაციუსი - (თავის სანთებელას მისცემს) თვენთვის მიჩუქნია!
მაიკლი - (გაღიმებული უყურებს სანთებელას) ეს "ზიპო" არის და... და ამას რომ აანთებ, ქარიც კი ვერ აქრობს!..
ბონიფაციუსი - (ელენას მოუტრიალდება) აი, ამ მაგიდაზე უნდა ახვიდეთ და ტრაკი მაჩვენოთ... (პაუზა). ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი. სულ ხუთამდე დავითვლი და მორჩა, ეს ჩეკი თქვენია!
ელენა - არა!
მაიკლი - მე აღშფოთებული ვარ!
ელენა - (მაიკლს) დაწყნარდი! შენ დაწყნარდი! დაწყნარდი და დამშვიდდი!..
მაიკლი - როგორ დავწყნარდე, როცა აღშფოთებული ვარ!.. (ბონიფაციუსს) როგორ კადრულობთ ამას?

ბონიფაციუსი - როგორ და, ისე, როგორც ბატი გავსინჯე კომშით!.. (ჯიბიდან ისევ ლეპტოპს ამოიღებს, გადაშლის, ჩართავს) მე აქ მესამე დოღს ვუყურებ და სანამ დამთავრდება, მოიფიქრეთ. ამ ჩეკში თქვენი კრედიტის ნახევარი წერია! ნა-ხე-ვა-რი!

მეოთხე სცენა

(ელენა და მაიკლი ცალკე გამოდიან).

მაიკლი - მე რომ დაჭერის არ მეშინოდეს, რადგან იქ... ეეე... რადგან უშენოდ ვერ გავძლებ ციხეში, გამოვიტანდი იმ დიდი, ნაჯახივით დანას, რითაც ბატი დავჭერი და აი, ამ შენ სტუმარსაც კომშით შეგიწვავდი საშობაოდ.
ელენა - (გაიცინებს) და მაგის შემწვარ ხორცს აჭმევდი დედაშენს?!.. მაგრამ შენ რომ კაციჭამია არა ხარ?
მიკლი - არა, მაგრამ მაგან შეურაცხყოფა მოგვაყენა! ისეთი შეურაცხყოფა, რომ მე საშინლად აღშფოთებული ვარ...
ელენა - მეც!..
მაიკლი - (პაუზის შემდეგ) როგორ მოვიქცეთ?
ელენა - არ ვიცი...
მაიკლი - მე რომ ავდგე და გავაპანღურო აქედან იმ თავისი ტორტიანად?.. ტორტი ხომ მაინც არც მე მიყვარს და არც შენ...
ელენა - გაგიჟდი? გინდა სამსახური დაკარგო და მართლა ციხეში ამოყო თავი?
მაიკლი - ციხეში - არა, არ მინდა...
ელენა - შენ უნდა გეთქვა, ტორტიანად და ორასი ათასის ჩეკიანად გავაგდებ თქო. და რაკი ჩეკზე ხმა არ ამოგიღია, ესე იგი, ის ჩეკი გინდა!
მიკლი - მინდა, ძალიან მინდა, მაგრამ...
ელენა - არა, თუ არ გინდა, ჩაიდებს ჯიბეში და წავა, რა პრობლემაა?
მაიკლი - არც არაფერი... მაგრამ შენ... შენ...
ელენა - კარგი რა, კარგი რა... ის შენი ტერა პატრიკი მთელი სამყაროს დასანახად იხდის...
მაიკლი - ის კი...
ელენა - მარტო იხდის კი არა, ყველაფერს აკეთებს ყველას დასანახად და თანაც, ამდენ ფულს, მე მგონი, არც უხდიან...
მაიკლი - ბოლო ფილმში ნახევარი მილიონი დოლარი გადაუხადეს... ოღონდ იქ ყველანაირი სექსია...
ელენა - და ეს ფული, ამან რომ ჩეკში ჩაგვიწერა, შენ ნაკლები გგონია? ევრო ხომ უფრო ძვირია, ვიდრე დოლარი!
მაიკლი - კი, ძვირია...
ელენა - ჰოდა, ყოველგვარი სექსის გარეშე ჩვენი კონსოსრციუმის პატრონი მილიონის მეხუთედს იხდის, თანაც ევროთი... დამინახავს და სულ ეგ არის...

მაიკლი - რას ამბობ, რას?! შენ მარტო ჩემი ხარ და მეტი არავისი...
ელენა - ისევ შენი ვიქნები... დამინახავს და დამინახოს...
მაიკლი - ისეთს რას ნახავს, რაც არ უნახავს?
ელენა - უნახავს, მაგრამ ჩემნაირი ის - არსად ექნება ნანახი...
მაიკლი - ჰო, არ ექნება...
ელენა - უნდა გიხაროდეს კიდეც, რომ შენი ცოლი, შენი არომატული და მშვენიერი კომში შენს გარდა კიდევ სხვასაც მოსწონს.
მაიკლი - ეგ არ მიხარია...
ელენა - ის ხომ გიხარია, კრედიტის ნახევარს რომ გავისტუმრებთ?
მაიკლი - ეგ - კი, ეგ - ძალიან კი!
ელენა - მაშინ, შენ გადაწყვიტე! შენ როგორც იტყვი, ისე მოვიქცევი...
მაიკლი - შენი ტრაკი თუ ორასი ათასი?
ელენა - ოღონდ დანახვით, მხოლოდ და მხოლოდ დანახვით. სხვანაირად - არა! არაფრისდიდებით!@
მიკლი - აბა, მაგ ავადმყოფს შენ თავს როგორ დავუთმობ?
ელენა - არ დაუთმობ, ხომ? (ნაწყენი) და ეს დათმობა არ არის?.. (პაუზა).
მაიკლი - შენ თვითონ გინდოდა!
ელენა - ვაიმე, რომ არ შემიძლია?
მაიკლი - შენი ვერაფერი გამიგია...
ელენა - შენთან შემიძლია, მაგრამ ის უცხოა!.. ძალიან უცხო... და შენც კაი დეგენერატი ხარ, რომ დამეთანხმე...
მაიკლი - რა ვქნა, ციხეში მე არ შემიძლია და... თორემ დიდი სიამოვნებით მოვკლავდი!
ელენა - მოკლავდი კი არა, შენც მაგნაირი იდიოტი ხარ და ფული რომ გქონდეს, შენც მასე მოიქცეოდი!
მაიკლი - სამაგიეროდ, ნახევარი კრედიტი დაიფარება, ნახევარი!

მეხუთე სცენა

ბონიფაციუსი - სალუტ, ფავორიტო! შენ მოიგე!
ცხენი ტელევიზორიდან - მე კი გავიმარჯვე, მაგრამ ეს ქალი არ გაიხდის!
ბონიფაციუსი - ისე გაიხდის, რომ შენი მოწონებული!
ცხენი ტელევიზორიდან - (ხვიხვინებს) ნუ მაცინებ!
ბონიფაციუსი - გაიხდის მეთქი!
ცხენი ტელევიზორიდან - ქმრის თვალწინ? ეგ ქალი ქმრის თვალწინ გაიხდის? და იმ თავის იმას გვაჩვენებს?
ბონიფაციუსი - აუცილებლად! რადგან მე ზუსტად გადავიხადე - არც მეტი და არც ნაკლები!
ცხენი ტელევიზორიდან - მაგასაც ვნახავთ!
ბონიფაციუსი - (მაიკლს) ჩემმა ცხენმა მოიგო!

მაიკლ - გილოცავთ!
ელენა - სულ თქვენი ფავორიტები იმარჯვებენ... (ფუჟერს აიღებს, დაისხამს შამპანურს და ასწევს) გილოცავთ! (სკამზე ადის, შამპანურს სულ გამოცლის და ფუჟერს მაიკლს გადმოუგდებს. მაიკლი ფუჟერს დაიჭრს და მაგიდაზე დადგამს).
ბონიფაციუსი - მოხარული ვარ!
ელენა - მერაია ქერი! ან თუნდაც სელინ დიონი!

(მაიკლი ჩართავს მუსიკას. ელენა იწყებს ცეკვას სკამზე და ნელ-ნელა იხდის. სულ რომ გაიხდის, ბონიფაციუსი ჯერ ითვლის).

ბონიფაციუსი - ერთი!.. ორი!.. სამი!.. ოთხიიიი...

(პაუზა).

მაიკლი - ხუთი, პატივცემულო! ხუთი!
ბონიფაციუსი - ბრავო! (ტაშს დაუკრავს).

(მაიკლი პლედს მოახურებს ელენას და წამოკრეფილ ტანსაცმელს მიაწვდის. სანამ ელენა სამზარეულოში გავა ჩასაცმელად, ბონიფაციუსი მივა მასთან).

ბონიფაციუსი - (ჩეკს მისცემს) ეს ფული თქვენია!@ (ხელზე აკოცებს) დიდი მადლობა! (ისევ იმავე ხელზე აკოცებს და მეორეზეც წაეპოტინება).
მაიკლი - სდექ! (ბრაზით) ერთი ხელი საკმარისია! ალბათ!..
ბონიფაციუსი - აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო გულუხვებო! (წასვლას დააპირებს).
მაიკლი - ერთი წუთით!
ბონიფაციუსი - დიახ, გისმენთ.
მაიკლი - ხომ არაფერი გეწყინათ? ამ ბატს კიდევ ხომ არ გასინჯავდით? მაინც?
ბონიფაციუსი - (ათვალიერებს ელენას) კომში უკვე გავსინჯე... უნდა გითხრათ, რომ მართლა ძალიან არომატული და გემრიელი ჩანს...
ცხენი ტელევიზორიდან - ტერა პატრიკზეც კი?
ბონიფაციუსი - შესაძლებელია!
ცხენი ტელევიზორიდან - ელისონ და ქეთრინ პიესებზეც?
ბონიფაციუისი - ალბათ!
ელენა - ფრთხილად იყავით, კომშმა გულზე იცის დადგომა!
მაიკლი - (დიდ დანას აიღებს და ისე ჩეხავს ბატს, თითქოს ბონიფაციუსს ურტყამსო) გასინჯეთ მაინც კიდევ ერთხელ...
ელენა - თანაც კომშით...
მაიკლი - და ჩემი ოჯახის ერთი პატარა საიდუმოთი... საგვრეულო საიდუმლოა და არავის ვეუბნებით... (მაიკლი თეფშზე გადაუღებს ბარკალს).

ბონიფაციუსი - კი, ბატონო, რაკი თქვენსას არ იშლით... ცოტა ფარშიც, თუ არ შეწუხდებით... (მაიკლი გადაუღებს ფარშსაც). დიდი მადლობა! (ჭამს. გულს წამოაზიდებს, სააბაზანოში შევარდება. იქიდან ისმის გულისრევის ხმა. შემოდის). ძალიან გემრილია!
ელენა - სასიამოვნოა, რომ მოგეწონათ.
ბონიფაციუსი - კი, ძალიან... (ფუჟერს აიღებს) თქვენ გაგიმარჯოთ...
ელენა - გაგიმარჯოთ...
მაიკლი - თითქოს... მაინც... რაღაცნაირად... და ცოტათი...
ბონიფაციუსი - წავედი, წავედი... ძალიან დავიგვიანე უკვე... (კართან მისული უკან შემობრუნდება) არა, უბატოდ არ შეიძლება! (ჯიბიდან ისევ ამოიღებს ჩეკის წიგნაკს).
ელენა - (გაოცებული) ისევ ჩეკი უნდა გამოწეროთ?
ბონიფაციუსი - თქვენ სწორად ჩაწვდით საქმის არსს... (მაგიდასთან ჯდება და წერას იწყებს).
მაიკლი - არა, ოღონდ ეგ არა!..
ელენა - რა - არა?
მაიკლი - ისევ ჩემ ცოლს თუ შეეხება, ეს უკვე მეტისმეტია!
ელენა - შენ რა იცი, რომ ისევ მე შემეხება?
მაიკლი - აბა, სხვას ვის შეეხება?! ვის?.. ჯერ გნახა და მერე კიდევ... ისიც მოუნდა... მთლად ისიც...
ელენა - (სილას გააწნავს) შე ავადმყოფო!.. მე აღარ მეკითხებით?
ბონიფაციუსი - (გაიცინებს) სილას ვეთანხმები... თქვენი გვარი?
მაიკლი - (ყვრილით) ვისი?
ელენა - ჩემი?
ბონიფაციუსი - არა, თქვენი გვარი უკვე ვიცი. ამჯერდ თქვენი ქმრის გვარი მაინტერესებს.
მაიკლი - ჩემი?
ელენა - (გადაიკისკისებს) აბა-დუბა-დი აი-ბადი!..
ბონიფაციუსი - ჰოდა, ახლა ბატიც გავსინჯოთ...
მაიკლი - რა ბრძანეთ?
იოლნტა - Aლეა ჟაცტა Eსტ! (მაიკლს) გამაგრდი!
მაიკლი - მე წავალ!... სულ წავალ აქედან და ისევ ჩემუბნელ ლოთებთან დავჯდები...
ბონიფაციუსი - Aლეა ჟაცტა Eსტ! ანუ - წილი ნაყარიაო!
მაიკლი - არ ვიცი მე წილი! არა!
ბონიფაციუსი - თქვენი კრედიტი მთლიანად რომ დაიფაროს, ორას ოცი ათასი კიდევ არის საჭირო...
ელენა - კი, მაგრამ სულ ვერ დაიფარება...
ბონიფასიუსი - მაგრამ... ოცი ათასის გადახდა არ გაგიჭირდებათ, ჩემი კონსორციუმის წამყვანი სპეციალისტები ხართ!.. ამიტომ მე აქ ისევ ორასი ათასი ჩავწერე თქვენ სახელზე.
მაიკლი - არა, არა და არა...

ელენა - და სამაგიეროდ?
ბონიფაციუსი - უნდა გაიხადოთ...
მაიკლი - არა, არა ვარ მე მასეთი! არა!
ელენა - ამანაც?
ბონიფაციუსი - მარტო კომში კი არა, ბატიც ხომ უნდა გავსინჯო?!
მაიკლი - არა... არა და ვერა... ვერანაირად ვერა...
ბონიფაციუსი - დარწმუნებული ვარ, მშვენივრად იცეკვებთ...
მაიკლი - გეხვეწებით, არა და ვერა.. გეხვეწებით...
ბონიფაციუსი - კარგი, შეგიძლიათ, ტრუსი დაიტოვოთ...
ელენა - რა კეთილი ხართ! რა კეთილი!
მაიკლი - არა, არა, მე... მე არ ვიცი, მე არ შემიძლია...
ელენა - (ბონიფაციუსს) თქვენ ცოტა ხანს მომდევნო დოღს შეხედეთ და ჩვენ მოვიფიქრებთ, კარგი?
ბონიფაციუსი - დიდი სიამოვნებით...

მეექვსე სცენა

(ელენა და მაიკლი ცალკე ლაპარაკობენ).

მაიკლი - უნდა წავიდე, სულ უნდა წავიდე ამ სახლიდან... წავიდე და გადავიკარგო!..
ელენა - კარგი, კარგი! მორჩი ეგ ისტერიკა!..
მაიკლი - რა ისტერიკა, ქალი კი არა ვარ!
ელენა - ჰო, არა ხარ!.. და, დამშვიდდი...
მაიკლი - ძალიან შეურაცხყოფილი ვარ! შეურაცხყოფილი და აღელვებული!
ელენა - მე უარესად ვიყავი...
მაიკლი - მე არ შემიძლია...
ელენა - მე შემეძლო, რომ გავიხადე? მეხალისებოდა?
მაიკლი - არ გეხალისებოდა, მაგრამ მე - არა, ვერა... ვერანაირად...
ელენა - მე აკი სულ გავიხადე და შენ ხომ მთლიანად გახდას არა გთხოვს, ტრუსიკის დატოვება შეგიძლიაო! მეტი რაღა გინდა?
მაიკლი - ის მინდა, რომ ავიღებ იმ დიდ დანას და ჯერ იმას მოვჭრი თავს, მერე კიდევ - შენ!
ელენა - მეც?
მაიკლი - ჰო, შენც! იმიტომ, რომ ამხელა ვალები აიღე და სულ სტრესებში მაცხოვრებ!.. ამდენი ხანი! მთელი ათი წელი უნდა ვინერვიულო და ამისთანა ღორები როცა მომაკითხავან, ამათ დაკრულზე უნდა ვათამაშო ერთი ადგილი...
ელენა - არავინაც აღარ მოგაკითხავს!.. ხვალვე გავისტუმრებთ ყველა კრედიტს! ოთხასი ათას ევროს გავისტუმრებთ და მშვიდად ვიქნებით. ამაზე იოლი რა არის?
მაიკლი - მე ცისფერი არა ვარ, არა! რომ ვიყო, კიდევ ჰო!

ელენა - მერე, ვინ გითხრა, გეი ხარო?
მაიკლი - მე რა ვიცი, როგორ უნდა სტრიპტიზში ცეკვა? და თან გახდა?
ელენა - მე რომ გავიხადე, ბოზი ვიყავი?..
მაიკლი - არ იყავი, მაგრამ...
ელენა - კიდევ კარგი, მაგას მაინც ხვდები, რომ ჩვენი ოჯახისთვის გავიხადე!.. თუ ვერ ხვდები?
მაიკლი - ვხვდები!..
ელენა - კარგია, რომ ხვდები...
მაიკლი - მე ვერ გავიხდი. თან მუსიკაზე... არა, უნდა წავიდე... სულ უნდა წავიდე აქედან...
ელენა - დაიცადე!..
მაიკლი - დავიცადე, აჰა... მერე რა?
ელენა - მოდი, აბა, შენი მხატვრის კუთხეში დადექი. (მიჰყავს მაიკლი მოლბერტთან) აი, ხომ ხედავ, რა მშვენიერი კუთხე მოგიწყვე, როგორი თანამედროვე მოლბერტი დაგიდგი და შენც ხომ დიდებულ ნახატებს ხატავ!.. თითქმის პიკასო და ცოტა ბოსხი, მარჯვნიდან...
მაიკლი - ჰო, ყოველთვის მარჯვნიდან!
ელენა - ეს ნახატები შედევრებია, ჩემო კარგო და დრო მოვა, დიდ ფასად გაიყიდება! აურაცხელ ფასად! სოთბის აუქციონზე! და სოთბის აუქციონს შენ ნუ ეხუმრები! შენი ერთი ნახატით ამ ჩვენი სტუმრის მთელი კონსორციუმი მოგვივა, რომ მოვინდომოთ!
მაიკლი - (მოლბერტთან მიდის, ფუნჯს აიღებს და ხატვას იწყებს ნერვიულად) მოგვივა, აუცილებლად მოგვივა, მაგრამ ჩვენ არ ვიყიდით, არა?
ელენა - თუ დაგვჭირდება, ვიყიდით კიდეც! ჩვენი ნება არ იქნება?!
მაიკლი - ჰო... ჩვენი... და მაგაზე უკეთეს სიგარებს მოვწევთ! და დოღსაც თავისუფლად ვითამაშებ!
ელენა - რა თქმა უნდა, სიგარებსაც მოწევ და საკუთარი იპოდრომიც გვექნება!
მაიკლი - (ხატვას შეწყვეტს) ვერა რა, მაინც ვერ გავიხდი!
ელენა - ნუ გაიხდი, მაგრამ ყველაფერს დავკარგავთ ამ უბრალო სისულელის გამო. მე ხომ უკვე გავიხადე და აბა, რა დამაკლდა?
მაიკლი - არაფერი, მაგრამ...
ელენა - (პაუზის შემდეგ). თუ ჩვენი კრედიტი დაიფარება, შვილს გაგიჩენ! ხომ გინდა შვილი?
მაიკლი - ჰო, შვილის მინდა და სოთბის აუქციონიც ძალიან მინდა... და სიგარებიც... და იპოდრომიც...
ელენა - ჰოდა, მიდი, თუ გინდა...
მაიკლი - მივალ, მაგრამ მე რომ გეი არა ვარ?
ელენა - მიდი და, ცისფერივით კი ნუ იცეკვებ, მაგარი კაცივით იცეკვე...
მაიკლი - კაცივით?
ელენა - რა თქმა უნდა!

მაიკლი - ეგ შემიძლია... მე ადრე ცეკვაზეც კი ვიარე სამ-ნახევარი თვე... (გამალებული ხატავს).
ელენა - ჰოდა, ერთი კაი სიმღერა ჩემზე იყოს. ახლა კი მოეშვი მაგ ხატვას და წამოდი!

მეშვიდე სცენა

(საათი ათჯერ რეკავს).

ცხენი ტელევიზორიდან - შენი არ ვიცი, მაგრამ მე არა მჯერა!
ბონიფაციუსი - ქმარიც თუ გაიხდის?
ცხენი ტელევიზორიდან - ჰო, მხატვარია, ბოლოს და ბოლოს! თან ცოლის თვალწინ!
ბონიფაციუსი - მერე რა? ცოლმა ისედაც იცის ქმრის ვირტუალურ ღალატზე!
ცხენი ტელევიზორიდან - არ გაიხდის, არა.
ბონიფაციუსი - აი, ნახავ, თუ არ გაიხდის.
ცხენი ტელევიზორიდან - (სინანულით) ნუთუ ამათი ფასი მხოლოდ ორას-ორასი ათასი ევროა და მეტი არა?!
ელენა - (ბონიფაციუსს) როგორ ბრძანდებით, ხომ არ მოიწყინეთ?
ბონიფაციუსი - არც ისე...
ელენა - ხომ ისევ მოიგო თქვენმა ფავორიტმა ცხენმა?
ბონიფაციუსი - (გაკვირვებული) აბა, რა უნდა ექნა?
მაიკლი - (ბოღმით) ჩემნაირების ფავორიტები ვერ მოიგებენ, თორემ...
ბონიფაციუსი - თქვენ რა გადაწყვიტეთ?
ელენა - უვალოდ ცხოვრება!

(ელენა მუსკას ჩართავს. მაიკლი ძელის გარშემო ცეკვავს და ნელ-ნელა იხდის. ბოლოს მხოლოდ ტრუსიღა აცვია, რომელსაც ევროგაერთიანების დროშა ახატია.
ელენა შეგროვილ ტანსაცმელს მისცემს ბოლოს და მაიკლი იცმევს).

ბონიფაციუსი - თქვენ ტალანტი ხართ, მხატვარო, დიდი ტალანტი!.. (მაიკლს ჩეკს მისცემს) ეს ფული სულ თქვენია!@(მაგრად ჩამოართმევს ხელს) დიდი მადლობა!
ელენა - (მაიკლს) "არაფერს" უნდა უთხრა!
მაიკლი - არაფერს...
ელენა - პირიქით, მე ვარ მადლობელი თქო!
მაიკლი - პირიქით, მე ვარ მადლობელი...
ბონიფაციუსი - სალუტ!
მაიკლი - გაგიმარჯოს... მაგრამ...
ელენა - რა მოგივიდა?
მაიკლი - არაფერი, ვშფოთავ!..
ელენა - ჩემი ნიჟარა მოგიტანო?

მაიკლი - ბალეარის კუნძულები... პალმა დე მალორკა...
ელენა - (ბარიდან ნიჟარას მიუტანს) ზღვა, ზღვა, თოლია...
მაიკლი - (ყურზე ნიჟარას მიიდებს და ქანაობას იწყებს). ბალეარის კუნძულები... პალმა დე მალორკა... პალმა დე მალორკა...
ბონიფაციუსი - ეს რა კარგი დამშვიდების ხერხი გაქვთ...
მაიკლი - არა, არა... (ნიჟარას მოიშორებს ყურიდან და ისევ ელენას მიაწვდის) მე არა მშველის...
ელენა - კარგი, ამ ერთხელ უფლებას მოგცემ და "ინ-ტერა-ქტივს" უყურე...
მაიკლი - მხოლოდ ცოტას შევხედავ რა... (გამოიღებს დამალულ დისკს და თავიანთ ლეპტოპში ჩადებს, მერე ჩართავს და უყურებს).
ბონიფაციუსი - ესეც დამშვიდებაა?
ელენა - ალბათ, ესეც...
ბონიფაციუსი - რამდენადაც ვიცი, ინტერაქტივი, იგივე ინტერაქტიურობა არის ცნება, რომელიც ხსნის ობიექტებს შორის დამოკიდებულების ხასიათს და ხარისხს...
ელენა - კი, მაგრამ ეს მაინც... ცოტა ისეთი რამე გახლავთ... ცოტა ისეთი და იმისთანა!
ბონიფაციუსი - (ამ ლაპარაკისას ბონიფაციუსი მიიწევს მაიკლის ლეპტოპში ჩასახედად, ხოლო ელენა კი წინ ეღობება) როგორი ცოტა ისეთი და იმისთანა? ინტერაქტივი ფართო გაგებით აპროქსიმირებული ცნებაა! ეს ობიექტის იმანენტური თვისებაა. თუნდაც ტრანსლაციის ექსტრავერტული პოზიცირება იყოს. და მატერიალიზებას ახდენს სისტემური ინერციის დანაგროვების მიზეზ-შედეგობრივი კონტინუუმისა, როგორებიც გახლავთ ხარისხობრივი, რეაქტიული და დიალოგური! და თანაც აღბეჭდილია ფაქტორიზაციის ინტერნალურ ლოკუსში! (ესმის პორნოვარსკვლავ ტერა პატრიკის ვნებიანი კვნესა სექსუალური აქტის დროს, გაჩუმდება).
ელენა - (იცინის) აი, ხომ გაიგონეთ, რა არის აღბეჭდილი ფაქტორიზაციის ინტერნალურ ლოკუსში...
ბონიფაციუსი - ეს პორნოფილმია?
ელენა - კი... ტერა პატრიკი თამაშობს და "ინ-ტერა-ქტივი" ჰქვია...
ბონიფაციუსი - უჰ, მე კიდევ სად წავედი!.. (ეცინება). ეგეც ჰასტლერის სტუდიამ გადაიღო?
ელენა - არ ვიცი, მაგრამ ახლავე გავიგებ... (მაიკლს ლეპტოპს გამოურთვს). გეყოფა!..
მაიკლი - მაგარია!..
ელენა - მაგარია, არა? (დისკს ამოიღებს ლეპტოპიდან).
მაიკლი - ჰო, ეს წინა ფილმზე უფრო მაგარია!
ელენა - სტუმარი კითხულობს, ესეც ჰასტლერის სტუდიამ გადაიღოო?
მაიკლი - დიახ, ჰასტლერის სტუდიამ... (გაახსენდება, სტრიპტიზი რომ იცეკვა და თავზე შემოიწყობს ხელებს).
ელენა - ჩვენი კონსორციუმის პატრონმა ბრძანა, - ეს ფილმი ჯერ არ მინახავსო! - და ვაჩუქებ, კარგი?
მაიკლი - ვერა, მაგრამ... კარგი, ჰო...
ელენა - ესეც თქვენ, ბატონო! ჩვენგან, სამახსოვროდ... (ბონიფაციუსს აძლევს დისკს).

მერვე სცენა

ბონიფაციუსი - ესოდენ დიდი ვნებათღელვისგან ისე მომშივდა, ისე მომშივდა, რომ მგელსაც კი შევჭამ...
ელენა - მგელისა რა მოგახსენოთ და, - საშობაო სუფრა გაშლილია, არჩევანი კი თქვენზეა.
ბონიფაციუსი - ჩემი მოტანილი ტორტი თქვენთვის დამითმია და, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ბოლო დოღი დამრჩა სანახავი, თან ამას ვუყურებ და ბატსაც შევჭამ - ძალიან გემრიელი და არომატულია შემწვარი კომშით!
ელენა - მიირთვით.

(ელენა მიდის მაიკლთან, რომელსაც თავზე შემოუწყვია ხელები).

მაიკლი - (ჩეკს მისცემს) აჰა და, გაიხარე!
ელენა - (სიხარულით) სულაც არ მიხარია!
მაიკლი - სამაგიროდ, მე მიხარია - ჩვენი კრედიტი დაფარულია, თუ იმ საცოდავ ოცი ათას ევროს არ ჩავთვლით...
ელენა - დაფარულია, მაგრამ რის ფასად... რამდენი ვინერვიულეთ...
მაიკლი - ჩვენს ღირსებაზე გადავლის ფასად.
ელენა - ოჰ, ეს ფულიანი ტირანი, ეს მანიაკი!
მაიკლი - მანიაკი ეგ კი არა, მე ვარ, იმის თამაშს რომ ავყევი... როგორც დოღებს იგებს იმ თავისი ლეპტოპიდან, ისე გაიმარჯვებდა აქაც, არ უნდა მცოდნოდა?
ელენა - მარტო შენ კი არა, მეც მანიაკი ვარ, რომ ავყევი.
მაიკლი - ფულიანია. მოვიდა. ორივეს სულში ჩაგვაფურთხა, სტრიპტიზი გვაცეკვა, შამპანური დაგვილია, საშობაო ბატი კომშით სულ შეგვიჭამა და...
ელენა - უფრო გაამაყებული წავა თავის გზაზე...
მაიკლი - ჩვენი სისუსტით ისარგებლა.
ელენა - და გაჭირვებით... იმით ისარგებლა, რომ ჩვენც გვინდოდა უკეთესი ცხოვრება და კრედიტი გვქონდა აღებული...
მაიკლი - როგორც უამრავ სხვას... მთელი ჩვენი ქალაქი ხომ კრედიტორია.
ელენა - მარტო ჩვენი ქალაქი? მთელი ქვეყანა!.. მთელი ევროპა მევალეა... მევალე და სამსახურის დაკრგვისა ეშინია...
მაიკლი - ვალო, საიდან მოდიხარო და, - მდიდრებიდან მოვდივარო და საშუალო შემლების ხალხთან ვჩერდები, ღარიბებთან ვეღარ მივსულვარო.
ელენა - ესენი ჩვენით ცხოვრობენ, ჩვენით მდიდრდებიან!..
მაიკლი - და მოგვადგებიან მერე ტორტებით და ჩეკის წიგნაკებით.
ელენა - საშობაო ბატსაც შეგიჭამენ!
მაიკლი - კომშით.

ელენა - კომშის სურნელით...
მაიკლი - ჰო, კომშის სურნელით.
ელენა - და სუუულ პაწაწკინტელა ოჯახური საიდუმლოთი...
მაიკლი - (პაუზის შემდეგ).მე აღარ მეშინია ციხისა...
ელენა - მე ადრეც არ მეშინოდა.
მაიკლი - მაშინ შენ ხერხი-დანა აიღე. იცი, რა კარგად ჭრის?
იოლნტა - შენ კი ეს დიდი, ნაჯახივით დანა.
მაიკლი - ჰო, ეს ახლა ბედნიერად და ამაყად აპირებს აქედან წასვლას და...
ელენა - ვეღარ წავა...
მაიკლი - შენ იქიდან მიეპარე...
ელენა - შენ აქედან...
ცხენი ტელევიზორიდან - ფრთხილად! მოკვლას გიპირებენ!
ბონიფაციუსი - აი, ორას-ორას ათას ევროზე მეტნი თუ არ ღირებულან!

(ისმის ანსამბლ თჰე Рიერცეს სიმღერა: "Кილლ! Кილლ! Килл!". შედიან ოთახში, მიეპარებიან ბონიფაციუსს და დაუშენენ დანებს.
ბონიფაციუსი სკამიდან რომ გადმოვარდება, ბატის ბარკლით ხელში, მინის ტიხრის მიღმა გადაათრევენ და იქ ჩეხავენ და ხერხავენ ნაწილ-ნაწილ).

მაიკლი - პატარა ნაჭრებად, ელენა!
ელენა - ჰო, კარგი! კარგი!
მაიკლი - პატარა ნაჭრებად! მაცივარში რომ შეეტიოს!
ელენა - ჰო...
მაიკლი - სახსარში გადახერხე, სახსარში! უფრო ადვილია!
ელენა - მომეშველე! მარტო მითითებებს რომ იძლევი!
მაიკლი - გეხმარები, აბა, რას ვაკეთებ?!

მეცხრე სცენა

(საათი თერთმეტჯერ რეკავს.
სისხლში ამოსვრილი მაიკლი და ელენა მაცივარში აწყობენ ნაწილ-ნაწილ დაჭრილ ბონიფაციუსის გვამს, მერე კარებს ძლივს მიკეტავენ).

ელენა - ვაი...
მაიკლი - უჰ...

(ორივენი დასხდებიან).

ელენა - მე დავიღალე. შენ?

მაიკლი - მეც...
ელენა - (პაუზის შემდეგ). საათმა რამდენჯერ ჩამორეკა?
მაიკლი - ვერ დავითვალე...
ელენა - თერთმეტი ხდება... მალე შობას მოგილოცავ...
მაიკლი - მეც, კომშო...
ელენა - ეს რა ხდებოდა, არა?
მაიკლი - შობა ღამის სიზმარი...
ელენა - სიზმარი კი არა, კოშმარი...
ელენა - არ გავახარეთ მაინც... ხომ მაინც გადავუხადეთ სამაგიერო...
მაიკლი - იმიტომ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და ეგ კიდევ - ურჩხული იყო...
ელენა - ჰო, ადამიანები... და აი, ახლა ენერგია მომაწვა! ძალიან დიდი ენერგია!
მაიკლი - მართლა?
ელენა - ჰო, ისეთი ენერგია მომივიდა, რომ რამდენიმე ამისთანას კიდევ შევინახავ ჩვენ მაცივრში!
მაიკლი - არ ჩაეტევა იმდენი!
ელენა - ჩავტევ!..
მაიკლი - ჩვენ ძლიერები ვართ!
ელენა - მაგარი კაცი ხარ, ძალიან მაგარი! (ლოყაზე მიშხეფებულ სისხლს ენით აულოკავს).
მაიკლი - შენ კიდევ უფრო მეტად გიდის კომშის სურნელი!... ჩემი საყვარელი კომშისა! (მოეხვევა და ჰკოცნის).
ელენა - მოდი ჩემთან! მოდი!
მაიკლი - აკი სტრიპტიზს ვერ ვცეკვავო!.. შენნაირად ვერავინ ცეკვავს!
ელენა - მოდი მეთქი, მოდი! მიწისძვრა მოვაწყოთ!
მაიკლი - ათბალიანი მიწისძვრა!

(მაიკლი და ელენა ერთმანეთს მოეხვევიან.
ოთახი მართლა იწყებს ზანზარს).

მეათე სცენა

(მაიკლი და ელენა ზურგებით ერთმანეთს მიყრდნობილნი სხედან და ბონიფაციუსის სიგარებს აბოლებენ.
კარზე ისმის ზარი).

ელენა - ვაიმე!
მაიკლი - რა იყო?
ელენა - მოვიდნენ!
მაიკლი - ვინ?

ელენა - პოლიცია იქნება.
მაიკლი - ჯერ არ ეცოდინებათ.
ელენა - როგორ არ ეცოდინებათ, ამ ჩვენ სტუმარს დაცვა მოჰყვებოდა ჩვენ სახლამდე...
მაიკლი - (აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს და ტახტის ქვეშ ძვრება) არ მინდა ციხეში! არა!
ელენა - (მაგიდის ქვეშ იმალება ისიც). არც მე მინდა!@

(ზარი მეორდება).

მაიკლი - სულ შენი ბრალია...
ელენა - ჩემი კი არა, შენი!
მაიკლი - მე რა შუაში ვარ?
ელენა - ვინ ემუქრებოდა ნაჯახივით დიდი დანით?
მაიკლი - და ხერხი-დანა ვის ეჭირა?
ელენა - სახსრებში გადახერხე, უფრო ადვილიაო? - ვინ მეუბნეოდა?
მაიკლი - მომეშველეო, - ამას ვინღა მეუბნეოდა?
ელენა - ო, რა ფლიდი ხარ! ფლიდი და გაიძვერა!
მაიკლი - პირველი ვინ დაეთანხმა? პირველმა ვინ იცეკვა?
ელენა - რა მნიშვნლობა აქვს, პირველი ვიყავი თუ მეორე? შენ არ იცეკვე? თანაც შენ შეღავათი მოგცა და ტრუსი დაგატოვინა!
მაიკლი - ახლა არ მითხრა, შეკრული იყო შენთანო!
ელენა - არც მაგას გამოვრიცხავ!
მაიკლი - ჩემ ადვოკათან ერთად დაგელაპარაკები!
ელენა - მეც ჩემ ადვოკათტან ერთად დაგელაპარაკები!
მაიკლი - ვიცოდი, გაქანებული ბოზი რომ იყავი და ეს სტუმრობაც სულ შენი ჩაწყობლია!
ელენა - ჩემი კი არა, შენი ჩაწყობილია... შენ უპრაწავ ხოლმე თვალებს იმ ქალბატონს, მწვანე თვალებით...
მაიკლი - და შენ რომ იმ დიდბეჭდიან დირექტორს უღიმი ხოლმე?!

(ზარი მეორდება).

ელენა - დაიცადე! ეს ხომ ჩემი დედამთილი და მამამთილი არიან!
მაიკლი - ჰო, ახლა უნდა მოსულიყვნენ. გაუღებ?
ელენა - მე რატომ უნდა გავუღო? შენ გაუღე.
მაიკლი - არა, შენი გაღებული უფრო ესიამოვნებათ.
ელენა - მე რა შუაში ვარ?
მიკლი - არც მე ვარ შუაში.
ელენა - ჩემი მშობლები აქ ვეღარ მოვლენ, ცოცხლები აღარ არიან...
მაიკლი - პოლიცია რომ იყოს?
ელენა - ასე მალე ვერ მოვიდოდნენ...

მაიკლი - გაუღებ?
ელენა - მე ვერა... შენ?
მაიკლი - ვერც მე... და საერთოდ, მამაჩემს ჩვენი კარის გასაღები აქვს და თვითონვე შემოვა...

(ისმის საკეტის ჩხაკუნი, საშობაო საჩუქრებით ხელში შემოდიან კარლი და როზალია).

კარლი - სადა ხართ, ბავშვებოოო?
როზალია - რაღა დროს ამათი ბავშვობაა? შვილიკო!.. საით ხარ? (დანახავს ტახტის ქვეშ შემძვრალ მაიკლს). აბა, გამოდი ჩქარა! ეს რა ბავშვური თამაშია, შვილიკო?
კარლი - (ის კიდევ მაგიდის ქვეშ დამალულ ელენას გამოიყვანს) რატომ გვემალებით?
ელენა - რა ვიცი, ისე... შობაა და...
კარლი - შობას გილოცავ, შვილო! (ელენას მისცემს საჩუქარს). ეს - დიდი სიყვარულის ნიშნად.
ელენა - დიდი მადლობა!
როზალია - შობას გილოცავ, შვილიკო! (საჩუქარს გაუწვდის).
მაიკლი - დიდი მადლობა, დედა!
ელენა - სუფრასთან მობრძანდით...
კარლი - (შეცბუნებული ათვალიერებს სისხლიან კედლებს) ჩვენებური ანდაზა არის ასეთი...
როზალია - ძველისძველი ანდაზა, სხვათაშორის...
კარლი - როგორც არწივის ბუდეზე მაღალი ბუდე არ არსებობს, ისე შობაზე დიდი დღესასწაულიც არ არისო...
როზალია - ამბობენ, ცხოველები ამ დროს ადამიანური ენით ელაპარაკებიან ეთმანეთსო...
კარლი - მცენარეები მღერიან და...
როზალია - მდინარეებში კი თაფლი და რძე მოდისო...
კარლი - თაფლი და ღვინოოო, რძე კი არა...
როზალია - რძეო, რადგან რძე უფრო სასარგებლოა.
კარლი - ღვინოო, ღვინო...
როზალია - რძეო!
კარლი - ღვინოო!
როზალია - რძე!
კარლი - ღვინო!
ელენა - და თუ ასეთი ჰარმონიაა, საშობაო ბატებმა, ინდაურებმა და გოჭებმა რა დააშავეს, ყველას რომ დავკლავთ ხოლმე და შევწვამთ?
მაიკლი - ჰო, აი, კედლები რა დღეშია...
როზალია - აქ დაკალით, შვილიკო, ბატები და გოჭები?
მაიკლი - თითქმის...
კარლი - საკვირველი ამბავია! ძალიან საკვირველი... რესტორანში ვერ შეუკვეთეთ?

ელენა - ჩვენი ხელით გაკეთებული გვინდოდა...
კარლი - და ახლა გედარდება, ბატი რომ დაკალი?
ელენა - ძალიან...
კარლი - ჩემი მშვენიერო რძალო, საშობაო ბატების და გოჭების ამბავი ის არის, რომ თავის დროზე ძალიან ხმაურობდნენ და ჩვილ იესოს არ აძინებდნენ.
როზალია - მართალია. და ამის სამაგიროს ზღავენ ხოლმე საშობაოდ...
ელენა - იცით რა?
მაიკლი - არ დაუჯეროთ!
ელენა - ეს ადამიანის სისხლია!
როზალია - მართლა?
კარლი - ხუმრობთ?
ელენა - არა.
მაიკლი - ჰო, ვხუმრობთ...
ელენა - რა მეხუმრება, ამ თქვენმა შვილმა დიდი, ნაჯახივით დანა აიღო და იმ ჩვენ სტუმარს შიგ კისერში ჩაარტყა მთელი ძალით...
მაიკლი - და შენ რომ ზურგში გაუყარე ხერხი-დანა? ისიც მე ვიყავი?
როზალია - ვაიმე! ეს რა მესმის, კარლ!
კარლი - მართალს ამბობთ?
მაიკლი - მერე სახსრებში ვინ ჭრიდა პატარ-პატარა ნაჭრებად?
ელენა - თავი ვინ მოაჭრა, თავი! და მთელი ძალით ვინ ჩეხავდა?!
მაიკლი - პირველმა ვინ იცეკვა?
ელენა - მეორედ კიდევ შენ იცეკვე! შენ შეკრული იყავი იმასთან, ტრუსიც იმიტომ დაგატოვინა!
კარლი - რა ტრუსი?
როზალია - ვერაფრი გავიგე!
ელენა - ამას ორასი ათასი ევროს ჩეკი გამოუწერა, ოღონდ იცეკვეო...
მაიკლი - მე კი არა, შენ გამოგიწერა...
ელენა - ვინ ამბობდა, აღარ მეშინია ციხეში ჩაჯდომისო? ჰოდა, ჩაჯექი ახლა და იყავი იქ!
მიკლი - შენც გვერდით მოგისვამ, ქალბატონო! აბა, ხომ არ გგონია, რომ სულ ჩემ თავზე ავიღებ მთელ დანაშაულს...
ელენა - ვინ იძახდა, დავჭრათ და მაცივარში შევინახოთ, რომ სუნი არ აუვიდეს, სანამ ბინიდან გავიტნთო?
მაიკლი - და ვინ ახერხავდა იმ საწყალს ხელ-ფეხს, ვინ?
ელენა - მე მხოლოდ ჩემი ადვოკატის თანდასწრებით დაგელაპარაკები!
მაიკლი - მეც!
ელენა - ან დამელაპარაკები, ან ვერა!..
მაიკლი - აი, სულ ასე იცი!.. შენ მაშინაც არ მომაწოდე მიქსერი!
ელენა - აბა, როდის?
მაიკლი - როდის და, "ნაპოლეონს" რომ ვაცხობდი!

ელენა - ეგ ხომ წინა საუკუნეში იყო! და თანაც "ნაპოლეონს” კი არა, "ჟოზეფინას” აცხობდი! "ჟოზეფინას”!
მაიკლი - მე თვითონ როგორმე შენზე უკეთესად ვიცი, რასაც ვაცხობდი!
ელენა - შენ არაფერიც არ იცი!
მაიკლი - ვიცი!
ელენა - არ იცი!
მაიკლი - ვიცი მეთქი!
ელენა - არაფერიც არ იცი!
მაიკლი - ჰო, ჰო, მხოლოდ შენ იცი ყველაფერი!..
კარლი - (როზალიას) საყვარელო, მე უკვე ძალიან ავღელდი!..
როზალია - ძვირფასო, მე უფრო ადრე ვღელავდი!.. ამას გასწავლიდი, შვილიკო, ამას?
კარლი - ეს როგორ ჩაიდინეთ, როგორ?
ელენა - მოვიდა და სულში ჩაგვფურთხაო, ეს ამბობდა...
მაიკლი - შენ არ ამბობდი? და პასუხიც მიიღოო, - ამასაც შენ არ ამბობდი?
კარლი - (მუშტს დაარტყამს მაგიდაზე) გაჩუმდით ყველანი! თქვენი ხმა არ გავიგო!

(პაუზა).

როზალია - (შიშით, კარლს) ახლა რა ვქნათ, ძვირფასო?
კარლი - არ ვიცი, საყვარელო...
როზალია - ძვირფასო, რომ გაიქცნენ და დაიმალონ სადმე?
კარლი - კარგი იქნება, ძვირფასო!.. სადმე მთებში, მიუვალ ადგილზე... რამდენიმე წლით... და მერე გაუხსნელ საქმეებში გადადებენ და მორჩა...
როზალია - სხვათაშორის, იმდენი გაუხსნელი საქმეა პოლიციაში, იმდენი, რომ!..
კარლი - თავზესაყრელი, საყვარელო!.. ხოლო ამათი არამზადა სტუმარი მართლა ღირსი იყო!
როზალია - ის მოუვიდა, რაც დაიმსახურა! მოვიდა და, სტრიპტიზი აცეკვა! (წაუცეკვებს).
კარლი - ეჰ, საყვარელო! ჩვენ ამდენს არ გვიხდიდნენ...
როზალია - ნეტავი, ჩვენთანაც მოსულიყო ამისთანა ვინმე, არა, ძვრიფასო?
კარლი - ჰო, საყვარელო! ორი ათას ევროდ მე სტრიპტიზსაც ვიცეკვებდი და ნიფხავსაც კი გავიხდიდი!
როზალია - მეც, ძვირფასო! და ოთხასი ათასი ევრო მოგვიგროვდებოდა!@ მთელი ნახევარი მილიონი!
კარლი - ლამის, საყვარელო! ლამის ნახევარი მილიონი!.. რადგან ასი ათასი დააკლდებოდა! ასი ათასი კი უსერიოზულესი თანხაა!
როზალია - ჰო, ძვირფასო!.. და იქნებ ჩვენც მოგვეკლა, არა, ძვირფასო?
კარლი - გააჩნია, ვინ იქნებოდა, საყვარელო!
როზალია - თქვენ ვინ მოკალით?
ელენა - ჩვენი კონსორციუმის პატრონი!

მაიკლი - ჰო, იმისი იყო მთელი ჩვენი კონსორციუმი.
კარლი - კონსორციუმი?
როზალია - პატრონი?
კარლი - (პაუზის შემდეგ). ურთულესი მდგომარეობაა... გამოსავალს ვერ ვხედავ, საყვარელო!..
როზალია - ჩვენ რომ ამათ ხელი დავაფაროთ, თანამონაწილეები გამოვდივართ, არა, ძვირფასო?
კარლი - რასაკვირველია, საყვარელო, რასაკვირველია!.. კანონის წინაშე პირნათლად უნდა მოიხადონ სასჯელი...
მაიკლი - მე ციხეში არ მინდა, მამა!
ელენა - არც მე არ მინდა!
როზალია - ადრე უნდა გეფიქრათ მაგაზე... როგორ შეიძლება ადამიანის მოკვლა?
კარლი - და მით უმეტეს, ამხელა კონსორციუმის მფლობელისა!
როზალია - საშინელებაა!
კარლი - კოშმარია!
როზალია - რატომ დავდექი ასეთ ცუდ გუნებაზე, ძვირფასო?
კარლი - არ ვიცი, საყვარელო...
როზალია - შენ არაფერი იცი, ძვირფასო...
კარლი - ნუ მეჩხუბები, საყვარელო!.. (მაიკლს და ელენას) უნდა აღიაროთ დანაშაული და სასჯელი შეგიმსუბუქდებათ...
მაიკლი - ვაღიარებ, რომ ნაჯახივით დიდი დანით დავჩეხე კორპორაციის მფლობელი...
ელენა - კორპორაციის კი არა, უკვე კონსორციუმის!
კარლი - ამხელა კონსორციუმის პატრონი!
როზალია - თვითონ ის!
ელენა - მე კი - ხერხ-დანით დავხერხე და მაცივარში შევინახეთ ნაჭრები!..
როზალია - ვაი, თქვე უბედურებო...
კარლი - ვინ, ვინ შეინახეთ მაცივარში?
მაიკლი - სტუმარი.
ელენა - კორპორაციის მფლობელი...
მაიკლი - კორპორაცია კი არა, კონსორციუმი!.. და ჩვენი ბრალი არ იყო...
ელენა - თავად მოგვაკვლევინა თავი...
როზალია - პოლიციას უნდა ჩაბარდეთ, შვილებო... აღიაროთ დანაშაული და სასჯელი შეგიმსუბუქდებათ... სხვა გზა არ არის...

(უცებ კარლს ხარხარი აუტყდება).

მაიკლი - რა გაცინებს, მამა?
როზალია - გაგიჟდი, ძვირფასო?
ელენა - ვაიმე, მართლა?
კარლი - (ძლივს ითქვამს სულს) მოიცადეთ...

როზალია - რაღა მოვიცადო, პოლიციაში ვრეკავ... ეს რა საშინელი შობა დაგვიდგა...
მაიკლი - უსაშინლესი...
ელენა - ძალიან... კოშმარული...
კარლი - ბავშვები ხუმრობენ!
როზალია - საიდან დაასკვენი?
კარლი - სანამ აქ წამოვიდოდი, ტელევიზორში აჩვენებდნენ იმ თქვენი კორპორაციის პატრონს...
მაიკლი - კონსორციუმის!..
ელენა - მართლა ის იყო?
როზალია - დარწმუნებული ხარ, ძვირფასო?
კარლი - დიახ, დარწმუნებული ვარ, საყვარელო. უპატრონო ბავშვთა სახლში არიგებდა საჩუქრებს...
მაიკლი - მართლა, მამა?
კარლი - ჰო, ჩემი ორივე თვალით ვუყურე...
როზალია - ტელევიზორს ძლივს ავგლიჯე, სანამ აქ წამოვიდოდით...
კარლი - და ისიც თქვეს, მთელ ევროპას უნდა მიულოცოს შობაო!
მაიკლი - (პაუზის შემდეგ) აბა, ჩვენ ვინ მოვკალით?
ელენა - (დანანებით, ჩეკებს ამოიღებს) ნუთუ ეს ჩეკები ყალბია?
კარლი - შობა ღამეა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს... აბა, მაჩვენე...
როზალია - (ჰაერიდან ჩამოვარდნილ ბუმბულს დაიჭრს) ეს ბატის ბუმბული არ არის...

მეთერთმეტე სცენა

(საათის დიდი ისარი თორმეტს უახლოვდება.
გაისმის კათოლიკური "შობა ღამის მესსა" - Ad Misssam in Vigilia
იღება მაცივრის კარი და იქიდან გამოდის ვიღაც უხილავი. ისმის ნაბიჯების ხმა და თავისით ჩაირთვება პლაზმური ტელევიზორი.
ტელევიზორში ბარდნის, - იმხელა ფანტელები მოდის, გეგონება ბუმბული ცვივაო და იმ ფიფქების ფონზე გამოჩნდება ბონიფაციუსი.
ოღონდ, მთლად ბონიფაციუსიც არ არის - ჰგავს და არც ჰგავს...).

ბონიფაციუსი - (ისმის ევროპის ჰიმნი - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის უკანასკნელი ნაწილი). მთელ ჩემ საყვარელ და ძალიან ძვირფას ევროპას, ამ კეთილშობილ კონტინენტს, რომელიც წარმოადგენს დასავლეთის სამყაროს მშობელი რასების სამშობლოს, ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეთიკის ფუძემდებელს, ძველი და თანამედროვე დროის კულტურის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და მეცნიერების აკვანს, მთელ რვაას მილიონ ევროპელს მინდა მივულოცო შობის დიდი და ნათელი დღესასწაული, მინდა ვუსურვო მშვიდობა, კეთილდღეობა, აღმშენებლობა, დემოკრატია და თავისუფლება. ჩვენი არსებობის ქვაკუთხედი არის ადამიანის უფლებების

განუხრელი და მიზანმიმართული დაცვა! დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ გვიჯობს უმალ დავიხოცოთ, ვიდრე შევეგუოთ ტირანიას! და მე ბედნიერი გახლავართ, რომ ჩემი და ჩემი კონსორციუმის სახელით ჩემს საყვარელ რვაას მილიონ ევროპელს, ხაზს ვუსვამ, რვაას მილიონ თავისუფალ ევროპელს ვულოცავ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს...
მაიკლი - ჩვენ სწორედ ეს მოვკალით!
ელენა - ჰო, ეს! ნამდვილად!
მაიკლი - და დავხერხეთ...
ელენა - და მაცივარში შევინახეთ!
როზალია - (კარლს) რა ხდება, ძვირფასო, ვერაფერი გამიგია!
მაიკლი - (თვალებს მოისრესავს) არ მეჩვენება, ნამდვილია!
ბონიფაციუსი - (ტელევიზორიდან) იქით გაიწიეთ!..
მაიკლი - მე?
ბონიფაციუსი - ჰო, თქვენ!
როზალია - რა ხდება, ძვირფასო? შენ ხომ ეს ტელევიზორში ნახე?..
კარლი - ჰო, საჩუქრებს არიგებდა.
როზალია - ამ ჩვენმა ბავშვებმა კი მოკლეს!.. ხომ ასეა, ბავშვებო?
ელენა - დაახლოებით...
მაიკლი - თითქმის...
როზალია - ჰოდა, რა ხდება, ძვირფასო?
კარლი - ჯერ ვერ ვხვდები, საყვარელო.
როზალია - არა, ნამდვილად რაღაც ხდება, რაღაც და, რა ხდება, უნდა ამიხსნა, ძვირფასო!
კარლი - აბა, მე რა ვიცი, რა ხდება?! საყვარელო?!
ბონიფაციუსი - (ჯიბეებიდან ყინულებს ამოიღებს და ტელევიზორიდან ოთახში გადმოყრის) რა მოგივიდათ, ადამიანებო... ეს ხომ შობის ჯადოსნური ღამეა...
მაიკლი - ჰო, აი! ჯადოსნურიო!
ელენა - ეს გველაპარაკება კიდეც!
მაიკლი - ტელევიზორიდან!
კარლი - ჯადოსნურიო, საყვარელო! ჯადოსნური!
ელენა - ჯადოსნური? (ჩეკებს დანანებით დაჰყურებს) და ეს ჩეკები ყალბია?!.
მაიკლი - აბა, სულ ტყუილად გავმართეთ სტრიპრიზები?!
ბონიფაციუსი - (გადმოდის ტელევიზორიდან) ნამდვილია, ეგ ჩეკები ნამდვილია!
მაიკლი - ნამდვილიაო, ნამდვილი!
ელენა - ნამდვილია, მაგრამ ჩემი ეს (თავის უკანალზე მიუთითებს) ამისაზე მეტი ღირდა!
მაიკლი - ან ღირდა, ან არა! ჩემი რა ნაკლებია?!
ბონიფაციუსი - ჩეკები ნამდვილია... (ელენას) ორასი ათასი თქვენ გადაგიხადეთ და (მაიკლს) თქვენც ამდენი!
ელენა - მე უნდა დამიმატო!

მაიკლი - მეც!
ბონიფაციუსი - რაც ღირდა, ის გადაგიხადეთ... და სანამ მოკვლის საფასურში არ გამოგიქვითავთ, არ გაჩუმდებით?
ელენა - გავჩუმდი!
მაიკლი - მეც!
როზალია - (კარლს) ეს თუ მოკლეს, ცოცხალი როგორღაა, ძვირფასო?
კარლი - არა ვიცი, საყვარელო, არაფერი არ ვიცი!
ბონიფაციუსი - სადაცაა შობა დადგება!.. აბა, პუფებზე ადით ყველანი! ჩქარა! ჩქარა! (ყველანი ადიან სკამებზე). აი, ახლა დადგებით მანდ და თქვენ ზურგს უკან დარჩება ყველაფერი ცუდი, რაც აქ მოხდა და ისიც, რაც იმის წინ მოხდა!.. სულ ტყუილი იყო ყველაფერი!
ელენა - ეს ჩეკებიც?
მაიკლი - ჩვენი ჩეკები!
ბონიფაციუსი - არა, ჩეკები ნამდვილია!.. ხომ გითხარით! და როგორც კი საათი თორმეტჯერ დარეკავს, ყველანი წინ გადმოხტებით, ახალ წელიწადში!.. გესმით? ოღონდ... სანამ რამეს ჩაიდენდეთ, სულ ცოტა, სულ პატარა, სულ ციცქნა, სულ ოდნავ, სულ ერთი ციდა დაფიქრდით ხოლმე...
როზალია - სულ ცოტა...
კარლი - სულ ერთი ციდა...
ბონიფაციუსი - ჰო, დაფიქრდით ხოლმე... გესმით?.. სანამ რამეს ჩაიდენდეთ, მანამდე დაფიქრდით... იმაზე დაფიქრდით, რომ რასაც აპირებთ, ის კარგია თუ ცუდი... ის, რაც კარგი გგონია შენთვის, იქნებ სხვისთვის არის ცუდი... მოდით, ისე მოვიქცეთ ხოლმე, რომ ყველასთვის იყოს კარგი... გაიგონეთ, ადამიანებო?
როზალია - მე, კი! ძალიან! შენ, ძვირფასო?
კარლი - კი, საყვარელო, მეც ძალიან!
ბონიფაციუსი - აბა, ერთი, ორიი და სამი!

(საათი თორმეტჯერ რეკავს. ოთხივენი წინ გადმოხტებიან სკამებიდან და უკან იყურებიან შიშით. ისმის სიმღერა Bob Marley And The Wailers - White Christmas - ეს სიმღერა იძებნება აქ - http://www.youtube.com/watch?v=hEfGeOcQiQM).

ბონიფაციუსი - ამ თქვენ შემწვარ ბატს, იცით, რა აკლდა? გარშემო შემოწყობილი, მთლიანი კომშები. ძველი ბერძნების წესით შემწვარი კომშები.
როზალია - (კარლს) მთლიანი კომშებით უფრო გემრიელი იქნება, ძვირფასო?
კარლი - ძალიან, საყვარელო!..
როზალია - ჩვენ რომ არ ვიცით, ძველი ბერძნები კომშს რა წესით შეწვავდნენ ხოლმე, ძვირფასო?
კარლი - რაც არ ვიცით, ის უნდა ვიკითხოთ, საყვარელო.
ბონიფაციუსი - კომშს გულს გამოაჭრიდნენ, მერე იმ გამოჭრილში თაფლს ჩაასხამდნენ და ისე შეწვავდნენ ხოლმე... (პაუზა). და ესეც თქვენი საშობაო ბატი თაფლიანი კომშით!..

შობას გილოცავთ ყველას...

(ოთხი განცვიფრებული და ენაჩავარდნილი პერსონაჟის მზერა მიაცილებს ტელევიზორიდან გამოსულ და პოდიუმივით ხალიჩით მოგებულ და განათებულ გზაზე, დიდი ფანტელების თოვაში მიმავალ სტუმარს - თან არის და თან არც არის ბონიფაციუსი.
პაუზა).

როზალია - აი, მაშინ რომ ავღელდი, ძვირფასო, იმაზე გაცილებით მეტად ვღელავ! და რატომ?
კარლი - სასწაული შობა ღამეა, საყვარელო, სასწაული და შენ კი არა, მეც კი დავლევდი ახლა ორიოდე Fფუჟერს - მღელვარების ნიადაგზე!
როზალია - ერთსაც ვერ დალევ!
კარლი - აბა, რომ ვღელავ?!
როზალია - შენთვის არ შეიძლება!..
კარლი - მაშინ ვიღელვებ!..
ელენა - აღელვება ისეთი უნდა, მე რომ ვღელავ!.. (ჩეკებს ათამაშებს ხელში) აი, ჩვენი თაფლიანი კომშები!..
მაიკლი - ეგ ჩეკებია და არა თაფლიანი კომშები!
ელენა - ან არის და ან არა!..
მაიკლი - შენ რომ ეჭვი არ შეგეპაროს, ისე ხომ არ იქნება!
ელენა - იქნება, იქნება...
მაიკლი - კარგი ერთი რა... შენ მაშინაც არ მომაწოდე მიქსერი!
ელენა - აბა, როდის?
მაიკლი - როდის და, "ნაპოლეონს" რომ ვაცხობდი!
ელენა - ეგ ხომ წინა საუკუნეში იყო! და თანაც "ნაპოლეონს" კი არა, "ჟოზეფინას" აცხობდი!
მაიკლი - "ნაპოლეონს"!
ელენა - "ჟოზეფინას"!
მაიკლი - "ნაპოლეონს" მეთქი!..
ელენა - "ჟოზეფინას"! "ჟოზეფინას" მეთქი!..

დასასრული

2010 წელი